# ცისკარი

**1858**

ივნისი. წიგნი მეექვსე

თიბათვე

ტფილისი.

მელქსელიშის ტიპოგრაფიაში.

ლექსები:
სოფელი. . . . . . . . . . კოლხიდელისა.

სალამი კარალეთის გო-
რალებან. . . . . . . . . . . თ. რ. შ. ე.

მთოვარეს. . . . . . . . . მისიგე.
პროზა:
ოთხნი ისტორიულნი განთჳსე-
ბულნი ხასიათნი გრანოვსკისა. თ. რ. შ. ერისთავსა.

ჰამლეტი დრამა ხუთს მოქ-
მედებად. . . . . . . . . . . ლ. არდაზიანისა.

(სხუა და სხუა ანბავი. (ნახ. მეორე გვერდზე.)

# სოფელი (*)

---

ვსჭვრეტ სოფელს დაფიქრებული
მე მისგან განკვირვებული!

ვინ იცნოს მკალნი მოყუასნო, ცეცხლითა მალთა დამწველის,
სასტიკის მხნის მებრძოლთა, მეფეთა კვერთხის მტე-რევლის,
დესპოტის, გმირის, ამაყის, სიმკნისა სიმხნით მძლე-ველის,
სამრწყუნო ნაპოლეონის, დიდთა მეფეთა მძლეველის?

ვსჭვრეტ სოფელს დაფიქრებული,
ვარ მისგან განკვირვებული!

ვნახე მე მკალნი ვერ ვიცან, პომპეის დამამხობელის,
მძლიერის გმირის კესარის, რომის ბრჭყალს შიგან მპყრობელის,

---

(*) ამ ლექსსა კოლხიდელისასა ვბეჭდავთ, როგორც იშვიათსა თხზულებასა. რედ.

სახმილის სასტიკ დამწველის, თავის გვირგვინით
მკობელის,
ამპარტავანის, მამაცის, ბედნიერების მშობელის.

ვსჭვრეტ სოფელს დაფიქრებული,
ვარ მისგან განკვირვებული!

ვინ იცნოს ძვალნი გამჭცვლნი, ციცერონ მჭევრ-
მეტყველისა
ალკივიადის ლამაზის, სოკრატის გრძნობის მწვე-
ლისა,
ლუკულლოს ვერცხლით მდიდრისა, ოქრო სამოსლით
მღველისა,
მილციოს მოხუცებულის, მშობლის ათინის მცველისა.

ვსჭვრეტ სოფელს დაფიქრებული,
ვარ მისგან ატირებული!

ვინ იცნოს ძვალნი მიმქვდლნი, დიდ ალექსანდრე
მეყვებულის
სპარსეთის ძალთა დამლეწის, ფორფირით განშვენე-
ბულის,
ობოლთა ქვრივთა შემწყნარის, სიგმირით გაელდე-
ბულის,
თავის მოყვარის მამაცის, მედ ზევსის სახელ-
ღებულის.

ვსჭვრეტ სოფელს დაფიქრებული,

## ვარ მისგან განცჳფრებული!

ვერ ვიცან ძვალნი გამხმარნი, კლეოპატრ განმმა-
რველისა.
კორნელიაჲ ქჳრივისა, პომპეის გულის მწუკლეულისა,
ასპაზიასი ოსტატის პერიკლის გულს მიმკურველისა,
პოპიას ცოლის კეისრის, კლოდიას მაწვეველისა.—

სადა არნ ეს ოდენნი, გმირნი და მეფე ცხებულნი,
მდიდარნი, ბრძენნი, მოხუცნი, კეკლუცნი გაელვე-
ბულნი?
ვინ იცნობს ძვალნი მოუჴსნო, მათგანთაგან განში-
შვლებულნი?
ერთად უგვლა საფლავშიდ, სოფლისა დაბადებულნი.

კოლხიდელი.

---

## საღამო კარალეთის გორადგან.

---

როს მზის დასვლის დროს, გაზაფხულისა
ნელი ნიავი იწყებს სუნთქვასა,
და საამოთა ყვავილთა სუნსა,
მოჰფენს უხვადა არესა ჩუენსა:
მაშინ მდუმარედ ვზი ჩრდილოს მხარეს
და საამოვნით ვსჭვრეტ თოვლიანს მთებს.

მშვენიერ არის რა ბრუდ-საზმელოს
შუქი მიადგეს დამსვლელის მზისა
იგი ამაყად იწყებს ლაპლაპსა
და ემუქრების ყინვითა ქართლისა!
როდესაც მისის ჭვრეტით დავსტკბები
მაშინ დასავლეთს მიუბრუნდება.-
შევხედავ, ვნახამ მის გორიზონტი
ვით წითელი ატლას ზედ გადაკრული:
ელავს, ბრწყინვალებს მინაზუბული
და მე მას შევტრფი-ვით ვარდს ბულბული
მუნით ლიახვიც ოქრომკედივით
კამკამით მოჩანს თეთრი სიმივით!
დიდხანს ვსჭვრეტ ხოლმე აღტაცებული
სოფლის შვენებით აზრითა მღელვილი:
— ნუ თუ ამაო არის ყოველი,
აღარ დარჩების არცა აჩრდილი?...

თ. რ. შ. ე.

1849 წელსა. მარტის 25. ს. კ.

---

# მთოვარეს.

---

ოხ, ბადრო მთვარევ! ვინცა გულგრილად, უმზიროს შენსა

ყმანკოს ნაიელს მომოცურავსა, ცაზედან ლურჯსა;
როს ციმციმაცა ვარსკვლავი შენი, წინა გიძღოდეს
და ადგილ, ადგილ თავს აფარებდეთ, ღრუბლის ნაგ-
ლეჯებს!
რამდენნი ქალნი იდაყვ დაყრდნობით, ფანჯარით გჭვ-
რეტენ
შენ შემოგტრფიან და მხოლოდა, შენში ჰპოვებენ;
ვით მეგობარსა თჳს სევდათ მიზეზს, აღგიარებენ
და თჳსთა სურვილთ შენსა წინაშე, განაცხადებენ.
მაშინ რამდენთა მარგალიტივით ცრემლნი ჰსცვიოდნენ
ოდეს განდობდნენ გრძნობათა. იტყოდნენ გეფიცე-
ბოდნენ:
— რომე არიან ამ სოფელს, უბედურ დაბადებულნი,
რადგანც არვისგან ჯერეთა, არიან შეყვარებულნი!
ჰე, ბედრო მთვარევ, მითხარი! რათ გაქვს შიგან
ხალები?
ჰგონებ მათისა სევდისგან, გქონან შენ ეგე ლაქები:
რადგანც გებრალვის ტრფობითა, დამწვარნი იგი ქალები
და მით არწმუნებ, რომ შენცა- მათ სევდას ენაწილები.
და მეც მარად ვეტრფი რა, მაგ შენსა თალხსა თვალებსა,
ქალთა ცრემლებით ოხვრითა, შენზედან დაჩნეულებსა;
მათშია ჰპოვებ დაღალულ, სულისა განსვენებასა,
მშვიდსა ნუგეშსა გულისას, ყოველთჳს მყუდროებასა!..

თ. რ. შ. ე:

1849 წელსა. მარტის 30-სა ს. კ.

---

## ოთხნი ისტორიულნი განთვისებულნი-ხასიათნი (*) გრანოვსკისა.

---

ეს ოთხნი ისტორიულნი აღწერანი ლაგ-თემურისა, ალექსანდრე მაკედონელისა, ლუდოვიკ მეცხრისა და, კანცლერის ბეკონისა ეკუთვნიან განსვენებულს გრანოვსკის, რომელიც იყო საზოგადო ისტორიის პროფესორად მოსკოვის უნივერსიტეტში და მიიცვალა 1855 წელში. მისნი თხზულებანი გამოიცნენ წარსულს წელს. გრანოვსკი შეირიცხა ევროპიელთ პირველთ ისტორიკებთ რიცხვში. მისის თხზულებით უმაწვილთ კაცთ შეუძლიანთ შეიტყონ, რა არის ისტორიული ხელოვნება და კარგად ისწავლონ წერა. გრანოვსკი არასა სწერს აჩქარებით: ზედ-მიწევნითი ცოდნა წყაროებთა და იმათი წეს-ში მოყვანა შეადგენენ მისს პირველს საქმეს, და ამისთჳს ის სწერს საფუძველიანთ. ენა გრანოვსკისა არის მარტივი და ამასთანავე სავსე მიმზიდავის მხატრობითა. ამაში იმას ვერც ერთი რუსის მწერალი ვერ შეადრებს. საგანი რომელსაც აღწერს გრანოვსკი, არის სრუ-

---

(*) Характеристики.

ლებით იმის უფლობას ქვეშ: ყოველთ ისტორიულთ პირთ და ისტორიულთ შემთხვევათ გამოხატავს ცხოველად და ამით აღვიძებს მკითხველის გონებაში უეჭველს თანხმობას და მკითხველის გულში სრულს მონაწილეობას. გრანოვსკი არ ავრცელებს სიტყვას საგანზედ, მაგრამ კარგად იცის, რა უფრო საჭიროა და რა უნდა ითქვას და ამას ყოველთვის, ამბობს. ეს არის მიზეზი, რომ თქუენს მეხსიერებაში ადვილად იბეჭდებიან მის აზრები და მისი სიტყვები. ოთხნი ისტორიულნი ხასიათნი, რომელნიც ითარგმნებიან ქართულად, არიან შეთხზულნი წასაკითხავად საზოგადოებაში და ერთი-ერთმანეთზედ უმჯობესნი. ავტორი ჯერ გამოხატავს საზოგადო ეპოხას, რომელშიაც სცხოვრებდა აღრჩეული პირი და შემდეგ თვალწინ წარმოგვიდგენს მოქმედებათა და ხასიათთა.

ლანგ-თემურზედ სტატია შედგენილია ევროპიელის და აღმოსავლეთის წყაროებიდგან დ ეთანხმება ქართულ წყაროებთა. მაგრამ ქართლის-ცხოვრება განვრცელებით მოგვითხრობს უფრო იმ ამბებს თემურზედ, რომელნიც შეეხებიან საქართველოს. ვის ეკუთვნის ეს მოთხრობა, არ ვიცით: ჩვეულებისამებრ ძველებურთ ქართველთ ისტორიულთ მწერალთ, მთხზველი არ გამოგვიცხადებს თავისს სახელს. უეჭველად, ის სცხოვრებდა თემურის შემდეგ და არა იმის დროს, რადგანაც უჩვენებს სპარსულთ და სომხურთ ისტორიკთ, რომელნიც ყოფილან თემურის მედროენი და რომელთაგანი უნდა იყოს სომეხი თომა მეძოძელი. ეს ჩვენი ცხოვრება აი როგორ გამო-

ხატავს ლანგ-თემურს: თემურმა აახრა საქართველო შვიდჯერ 1386 დგან 1403-სან, ბაგრატ V და შემდეგ იმის შვილის გიორგი VIII დროს; ორჯელ აიღო ტფილისი, დასტყვევა ბაგრატ და მრავალი ხალხი. ლანგ-თემურის ხასიათი არის გამოხატული თითქმის ისე, როგორც გამოგვიწერს გრანოვსკი: ის იყო შეპყრობილი ბარბაროსებრივის მძვინვარებით და ვითომც განგებ მოვლენილი ქრისტიანის ამაოხრებლად; ის ანგრევდა და ფხვრიდა ციხეებსა, მონასტრებსა და ეკკლესიებსა და შიგვე ხოცდა და სწვავდა ქრისტიანეთ, დედაკაცთ და მამაკაცთ; დიდად სიამოვნებდა ამ გვარ მოქმედებებით. თემურ ცდილობდა მახმედიანთ სარწმუნოების მალით განვრცელებას, მაგრამ არც მახმედიანთ ინდობდა. ნუ დავივიწყებთ, რომ თემურ არ იყო სრულებით მშვენიერთ წესთ მტერი: ჩვენი მოთხრობა უჩვენებს კანონებს, რომელთაც ის წარუწერდა მისგან დაპყრობილთ ქვეყნებთ; იმას ყვანდა დახელოვნებული ჯარები და კარგი ინჟინერები: აღწერა ტფილისის ციხის აღების ფერიშით და მაღალთ ციხეების დაჭერა ამათგან სრულებით დაგვარწმუნებენ ამაში.

შენიშვნა ბაქრაძისა.

## ლანგ-თემური.

---

საგნად ჩვენის საუბრისა იქმნებიან განთჳსებულნი ხასიათნი ლანგ-თემურისა, ალექსანდრე მაკედონელისა, ლუდოვიკ (IX) მეცხრისა და კანცლერის ბეკონისა. ჩვენ ვერა ვპოვებთ ბევრს მსგავსებასა იმათს შინაგანს ცხოვრებაში, და ვერც ამათ ღვაწლთ გარეგანს ისტორიაში; ღვაწლნი თჳთოეულის მათგანისა აღნიშნულ არიან განსაკუთრებით მისდა მითჳსებულის განსხვავებულის ხასიათით, მაგრამ იმათშორის არის ერთი საზოგადო: ეს არის წოდება დიდთა-კაცთა, მიცემული მათდა მედროვეთაგან და დამტკიცებული შთამამავლობისაგან. მაგრამ რა არის შეკავშირებული ამ წოდებასთან? რა მოწოდება აქუსთ ისტორიაში კაცთა, აღნიშნულთ დიდ-გმირებად? აი კითხვა, რომლისაცა დავიწყებ ამ საუბარსა. ეს კითხვა სრულებით მოკლებული არ არის აწინდელის დროებსა. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რომელსაც უარსა ჰყოფდენ დიდ-კაცთ საჭიროებას ისტორიაში, და ამტკიცებდნენ, ვითომც იმათი თანამდებობა გათავებულია და თჳთ ხალხთაც შეუძლიანთ უიმათოდ აღასრულონ თავიანთი ისტორიული მნიშვნელობა. ეს სულ ერთია, თუნდ გვითქვამს, ვითომც ერთმა ძალთაგანმა ბუნებაში მოქმედთა, დაჰკარგა თავის მნიშვნელობა, ანუ რომ ერთი კაცის სხეულთაგანი ორღანი ახლა საჭირო აღარ არის. ამ გვარი დანახვა ისტორიისა შესაძლებელია მაშინ, რომელსაც

კაცი განიხილავს იმას დაუდევნელად და გარეწრდად. მაგრამ ის, ვისთვისაც ისტორია მკვდარს ასოთ არა სჩანს, ვინც შეჩვეულია იმის ცხოვლად დანახვას, ხედავს დიდთა-მპართა ზეგარდამოს-განგებისაგან აღრჩეულთა, ქვეყანაზედ მოწოდებულთა მის აღსასრულებლად, რაჲცა ჰსმევს საჭიროებათ შინა აღნიშნულის ეპოხისასა, სასოებათ და სურვილთა აღნიშნულისა დროისა და ხალხისა. ხალხი არის ძალაშე შემკრებულობათი. იმისი შემკრებულობითი ჰაზრი, იმისი შემკრებულობითი ნება. თავის-თავის გამოსაჩენად უნდა იქცნენ ჰაზრად და ნებად ერთისა პირისა, რომელიც მოწოდებულია განსაკუთრებით ზნეობითის უფრომახვილობის მხრით, განსაკუთრებითის გამჭვრეტელის გონების მხედველობით. ამისთანა პირნი შემოსვენ ცხოველის სიტყვით მას, რაც იმათამდის ხალხის ფიქრში იფარვოდა, და გარდააქცევენ ხილულს ღვაწლად თავიანთ მამულთ ანუ მედროეთ განსაცხადებელთ ჰაზრთა და სურვილთა. მაგრამ აქ წინა ჩვენგან მოყვანილს ჰაზრს, ერთვის სხვა უსაფუძვლოვე ჰაზრი, ვითომც დიდნი პირნი გამოსჩნდებიან შემთხვევით, და ვითომ უმათოთაც შესაძლებელია გაძლება. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ დიდი მოქმედება (роль) შემთხვევისა მხოლოდ შესაძლებელია გონებისა და ზნეობის მოუძლურებულს დროებში, რომელსაც კაცს აღარ სწამს კანონიერი მოძრაობა შემთხვევულებათა, რომელსაც ის დაკარგავს მხედველობიდამ ღუთაებრივს კავშირს, მართულის კაცობრიობის სიცოცხლის შემზღუდავს. მართალია ყოველთვის ცხადად ვერა ვხედავთ

იმ ადგილს, რომელიც ეკუთვნის დიდს-კაცს საშუალ-დიდთა მოქმედებათა და ყოველთვის ცხადი არ არის საგანი იმის მოღვაწეობისა. განვლიან საუკუნონი და ის დარჩება გასისხლიანებულ შეუსაწუხარ გამოცანად, და ჩვენ არ ვიცით, რისთვის მოვიდა ის და რისთვის აღიძრა ხალხნი. ამ საგანზედ ასე სხუა და სხუა რიგად ფიქრობენ, რომ არ შეგვიძლიან დაჭეშმარიტებით განვსაზღვროთ იმათგან გამოჩენილი განვლენა. მაგრამ რაც დღეს ჩვენთვის მიუხვედრელია, განა ხვალისათვისაც გაუგებრად უნდა დარჩეს? განა თჳთვეული ახალი შესანიშნავი რამ შემთხვევა არა ჰფენს ნათელსა დირსთა შემთხვევათა ზედა, რომელნიც სჩანან დიდიხნის შესრულებულად და დახშულადაც? ხშირი სხუა-და-სხუათა გამოჩინებათა ზოგ-ჯერ გამოცხადდება მხოლოდ საუკუნოების ანუ თით-ქმის ათასის წლის განმავლობაში. ამ შემთხვევაში სწავლას არ შეუძლიან წინ წაუსწრას თჳთ ცხოვრებას და მოთმინებით უნდა მოელოდეს ახალთ ფაქტთა (*) ურომლებოთაც სრული არ იქმნებოდა სივრცე ცნობილის გაშლილობისა (развитіе). ისტორიული მნიშვნელობა სოკრატისა ძლივს არის დირსეულად დაფასებული მეცხრამეტე (XIX) საუკუნეში. ოცდა ორის საუკუნის შემდეგ იმ განჩინებისა, რომელიც წარმოსთქვა, იმაზედ ათინის ხალხმა.

თჳთვეულის დიდის გვამის გამოსაცნობად, ჩვენ უნდა ყურადღება მიუპყროთ თჳთ მის პირს, და მიწას,

(*) ისტორიული დამტკიცება.

რომელზედაც ის აღზრდილა, და დროს, რომელშიაც იმას უმოქმედნია. ამ სამის ელემენტით შესდგება იმისი ცხოვრება და მოქმედება. ეს არის ძნელი გამოსაცნობად და ამის ახსნა მკუთვრის, თუ რომ შეიძლება ასე ვსთქვათ, საკუთარის ისტორიულის ფსიხოლოგიისა, რომელსაცა აქვს საგნად აცილება დროებითთა და ადგილობრივთა გავლენათა, რომელნიც შესცვლიან იმ პირის კერძოობითთა. თვისებათა როდესაც დიდ-პირთ განვიხილავთ ყურადღებით, ისინი გამოგვიჩნდებიან ჩვენ განმაცხადებელად მთელის ხალხისა და მთელის ეპოხისა. რისათვისაც უნდა იყვნენ ისინი მოწოდებულნი ქვეყანაზედ, კეთილისთვის თუ ბოროტისათვის, ყოველს შემთხვევაში არა დგანან განსაკუთრებით, არც დამოუკიდებელად, არამედ მჭიდროდ და მტკიცედ არიან შეკავშირებულნი მასთან, რომელზედაც აღზრდილან და დროსთან, რომელშიაც იმათ უმოქმედნიათ. ამ შემთხვევაში განსხვავებულთა სიძნელეთა წარმოადგენს ისტორია აღმოსავლეთისა: ის არის დამორჩილებული სხვათა კანონთადმი, გაიშლება სხვათა პირობათა-ქვეშე, ვინემც ევროპიული. იქ ხალხი უძლურდება საუკუნოების განმავლობაში გამოუფხიზლებელის ძილით. იმათ ეჩვენებათ გასაოცარნი სიზმრები, რომელნიც გადააქვთ არათუ მარტო თავიანთ პოეზიაში, არამედ თავიანთ ისტორიაშიაც. იქ არ არიან კანონიერნი გარდასვლანი ერთის ეპოხიდამ მეორესთან: არ არის რიგზედ შედგომილება და, მაშასადამე, არ იქნება ლოღიკური საჭიროებაცა გაშლილობაში, და ამისთვის დიდ-კაცთ

გამოჩენა იქ ხშირად მიიღებს ნამდვილს შემთხვევის თვსებას. მაგრამ ამ გვარი ჰაზრი იქნება აქაც მალიან წინ-დაუხედავი. როდესაც ჩვენ, მაგალითად, შეგვზარავს გამოჩენა მგზავსის იმ ბრძოლით ქვეყნის დამპყრობელისა, რომელზედაც მექმნება, მე პატივი საუბრისა, როდესაც ჩვენ ათრთოლებულის გრძნობით მოვსთხოვთ ჩვენ თავს ანგარიშს, რომლისამე ჩინგიზისა ანუ თემურის საქმეებისას და ვიკარგებით გამოცანაებში; როდესაც ჩვენში უნებლიეთ დაიბადებიან კითხვანი: თუ რომელთ საჭიროებათ აკმაყოფილებდნენ ეს კაცნი, რისთვს დაჰფარეს მიწა ნაოხრებითა, რისთვს აღფხვრეს ქვეყნის პირისაგან ესოდენნი სამეფოები, ამდენნი მშვენიერნი ფორმანი, რომელნიც მლივს აღმოსცენდნენ შუაგულთ მახმადიანთ მოქალაქობათაგან? ჩვენ ვალი გვაქვს პასუხად მივუგოთ: განა ამ ხალხთა, რომელნიც გამოიყვანეს საისტორიოს მეიდანზედ ჩინგიზმა და ლანგ-თემურმა და რომელნიც მინამდის სთვლემდენ დაუსრულებელს და მოსწყენს ერთგვარს უბინაოს ცხოვრებაში, არა ჰქონდათ საჭიროება ერთხელაც არის გამოეფხიზლათ და ეგემათ სრული სიტკბოება და ყოველი მოუსვენრობა ისტორიულის მოქმედების ცხოვრებისა? მაგრამ საშიშარ იქმნება ხოლმე ამ გვარი გამოფხიზლება აღმოსავლეთის ხალხთა! სვე თემურისა ანუ ლანგ-თემურისა შეერთებულია ერთთა ამა აღფვეთქმებათადმი. ამ მოკლეს საუბარში მე არ შემიძლიან წარმოვიდგინოთ თქვენ სრულნი ბიოგრაფიანი და უნდა გთხოვოთ, რომ იკმაყოფილოთ მოკლედ იმათ

ხასიათთ განთჳსებაებით, რომელთშიაც ვეცდები გა-
ჩვენოთ განსხვაებულნი თჳსებანი თვითვეულთ ჩემგან აღწერილთ პირთა ამ საუბარში. იმათ შორის კავში-
რი მხოლოდ გარევანია, მაგრამ თჳთოეულს ეკუთვ-
ნის უფლება «დიდი» წოდებისა, ამისთჳს, რომ იმათ უძლეამ დაუტევეს ღრმანი, თუმცა არა მსგავსნი ერთი მეორისა, კვალნი მრთელის ქვეყნის დიდსთ შემთხვეულებათა ადგილთა-ზედა. საკმაოდ გითხრათ ის განთჳსებულნი-ხასიათნი, რომელნიცა შევიძლიანთ გამოიცნოთ თჳთ ლანგ-თემურის სახე და იმ ხალხისა, რომლის წარმომდგენელიც ის იყო.

ვრცელსა ადგილსა ზედა კასპიისა, ოხოტსკის და იაპონიის ზღვებთა შორის ძველადგანვე უხსოვროდ დაესახლებოდნენ ხალხნი, შთამომავალნი ორთა დიდთა ნათესავთა: მონგოლთა და თურქთა. ზოგჯერ გაცალ-
ცალკევებულნი ტომნი ორთავე ნათესავთა შეერთდე-
ბოდნენ, და იმათგან წარმოსდგებოდნენ ახალნი ხალ-
ხნი, რომელნიც გამოდიოდნენ საისტორიო მოედან-
ზედ სხუა-და-სხუას სახელებით. იმათი გამოჩენა ერთ-
გვარად განსხვავდება მრისხანის მაოხრებულის ხასი-
ათითა. იმათთან მოჰქონდათ მოსპობა ყოველთ სა-
ზოგადო ფორმებთა, რომელნიცკი შეხვდებოდნენ გზაზედ, მაგრამ თითონკი ვერ შეიძლებდნენ მტკიცის და შეურყეველის სახელმწიფოს აღდგინებასა. თითქმის ოთხს საუკუნეში ქრისტეს აქეთ მონგოლ-თურქთ შთამომავალნი წოდებულნი გუნებად, გამოსჩნდნენ ევროპაში, განაკრთეს შიშით სლავიანნი და გერმანე-
ელნი. ხალხის ჰაზრი მიაწერდა გუნებს სრულებით

განსხვავებულს შთამომავლობას. გოთნი ამბობდნენ, ვითომც ისინი არიან დაბადებულნი, უდაბს ადგილებში მაწანწალათ და არა წმინდა სულთაგან და გოთთ ჯადოქრებთაგან. იქამდის გადარიეს ევროპიელნი ამ უდაბნოთ შვილთ საზიზღარმა სახემ, იმათმა გარეულმა ცხოვრებამ და ზნეობამ, იმათმა შეუბრალებელმა მძვინვარებამ. იყო ერთი დრო, როდესაც ისინი ემუქრობდნენ არა თუ მარტო ევროპიელთ სახლთ თავისუფლებას, არამედ ბერძენთ-რომაელთ მოქალაქობასაცკი. კატალაუნის მინდვრებზედ გადასწყდა ეს საქმე. სხვებრ იმათმა უფლებამ დიდხანს არ გასწია. ისინი გადიდუპნენ ევროპის მიწიდამ, და ვედარ მოასწრეს დაგდება თავიანთის ნიშნისა ევროპიელთ წესდებულებასა და ზნეობაში. შემდგომად რვათა საუკუნეთა ევროპა კვალად მიიღებდა ამავე სტუმართა. ბედისაგან იყო გადაწყვეტილი, რომ წინ შეხვედროდა იმათ ჩვენი რუსეთი, რომელმაც ის იყო დაიწყო თავისი ისტორიული მოქმედება. რუსეთმა მიიღო თავის მკერდზედ შეჯახება ბარბაროსთა და ჩავარდა იმათ მძიმეს მონებას ქვეშ. მაგრამ დანარჩენი ევროპაკი, დახსნილი რუსეთით, გადარჩა შემდგომთა უბედურებათაგან. ამისგამოს იმათი ზედ დასხმა იყო უფრო საშინელი იმათთჳს, ვისაც დაეცნენ უსაშუალოდ. მოწმობაები მედროეთ თვალით მხილველთა მონგოლების ნათესავთ ზნეობათათჳს, საზოგადოდ განსხვავდებიან გასაოცარის ერთის-მეორის თანხმობითა, არაბნი, სპარსნი, დასავლეთის ბერები ელჩად მყოფნი ხანის სასახლეში და ვენეციის ვაჭარი

მარკო-პოლო, აღწერენ მონღოლთ ხასიათს ერთის-და იმავე გამოხატულებით. არ არის არც ერთი ხალხი ქვეყნის დასაპყრობათ ისე ნიჭებული, როგორათაც თათრები; ისინი არიან უწყალონი, მძვინვარენი, იმათ ვერც ერთი სახელმწიფო წინ ვერ დაუდგება, ამბობს მარკოპოლო. აღმოსავლეთის ხალხნი ამაოდ მორწმუნეობით საკსკენი უყურებდნენ ჩინგიზისა და თემურის გარეულთ ხალხთა, რომელთაც განუდევნელს ცისაგან მოვლენილს რისხვას. იმათი მოთხრობანი სავსე არიან გასაოცარის თითქმის დაუჯერებელს ამბებით თავიანთ შიშზედ, რომლისათვისაც არა თუ ჯარისა, მარტო ერთი მონღოლის დანახვაცკი საკმაო იყო შესანიშნავის სოფლებისა და ქალაქებისათვის. მცხოვრებნი თავის თავათ მიუშვებდნენ კისრებს ხმლის შემოსაკრავად სრულებით დარწმუნებულნი, რომ იმათი წინააღმდეგობა უსარგებლო იქნებოდა. იქამდის იყო მოფენილი მრთელს აზიაში ჭორი მონღოლების უძლეველობაზედ. იმათის გამარჯვების მიზეზი იყო, როგორათაც ცნობილიხართ თქვენ, ჩინგიზ-ხანი (XIII) მეცამეტეს საუკუნის დაწყებაში. თითონვე აღიარა თავისის ბრძოლის საგანი. დაიპყრო რა უდიდესი ნაწილი აზიისა, ღრმადმოხუცებულობის დროს, ერთხელ იმან შეჰკრიბა თავის ვეზირნი და წინა-დაუდო დიდებულთა შემდეგომი კითხვა: რომელი ნეტარებაა ყოველთ უმაღლესი ქვეყანაზედ? თვითეულმა მათგანმა გამოუცხადა თავთავისი აზრი. მოხუცებულმა ხანმა თავი გაიქნია და უთხრა იმათ: «არა; უკელაზედ ბედნიერი

ქვეყანაზედ ის არის, ვინც უკან მისდევს თავისაგან დამარცხებულთ მტერთ. იკლებს იმათ ქონებას, მიაჭენებს იმათის ცხენებით, სიამოვნებს თავიანთ მახლობელთ კაცთ ცრემლებით ⁊ ჰკოცნის იმათს ცოლებს ⁊ ქალებს.» სახელმწიფო, დაფუძნებული ამ გვარს საძირკველზედ, არ იქნებოდა მტკიცედ. შემდგომად ჩინგიზ-ხანისა, იმისი სახელმწიფო გაიბნა რამდენისამე უფლოდ, რომელთაც დიახ მალე დაიწყეს ერთმანეთში მტერობა.

თემურ დაიბადა მახლობლად სამარყანდისა, მყო-ფსა სამეფოსა შინა ჩინგიზ-ხანის შვილს ჩაგათაისასა. აღმოსავლეთის ხალხთა ღრმად ჩაინახსოვრეს ბედით ღამე მეცხრეს აპრილისა 1336 წელს. როგორათაც მოგვითხრობენ, ის დაიბადა თეთრის თმებით როგო-რც მოხუცი ⁊ ჴელში დაჰყვა ერთი მუჭა შედედე-ბული სისხლი.

დედით ის იყო ჩინგიზ-ხანის შთამომავალი, მაგრამ მამა მისი იყო ერთი იმ გამრავლებულთ ჩაგათაის თავადთაგანი, რომელსაც არ შეეძლო დაეგდო იმისთვის დიდი შემძლებლობა. იმავ სიყრ-მეში თემურმა გამოიჩინა მიუდრეკელი ძალა ნებისა ⁊ სიყვარული მბრძანებლობისა. ჯერეთ ყრმად მყოფი თავის თამაშობის ამხანაგნი დააფიცა იმის მორჩილებასა ⁊ ერთგულებაზედ. მართლათაც ვერც ერთი იმათგან ვერ შეთანასწორებოდა იმის ძალასა ⁊ სიმარდეში. პირველნი წელნი თავისის ცხოვრე-ბისა გაატარა წვრიმანსა გამცრცველობასა ⁊ ავა-ზაკობაში, რომელთაც მოუპოვეს სახელი შეუპოვარის

მხედრისა. აღმოსავლეთის ფანტაზიამ შეიტანა თემურის უმაწვილობის ზნელს წელიწადების აღწერაში მომატებულნი განვრცელებანი, და ის მომატებანი, რომელითაც სავსე არიან უმაწვილობის მოთხრობანი სხვათაცა აზიელთა გმირთა. თემურ წარმოსდგა მრთელის-ქვეყნის საისტორიო მოქმედების მოედანზედ სრულს მოწიფულს წელიწადებში, მიერია და მრავალთა წინააღმდეგთა, იმოდნად შეუნიშნავთა თავიანთის უფლებით, როგორათაც თითონ. ამ დაუცხრომელით შრომას, და ბრძოლაებში მომზადდა ის იმ თანამდებობისათჳს, რომელიც იმას წინ მიელოდა. 1371-სა წელსა, მაშასადამე როდესაც ის იყო 35-სა წლისა, იმას ეჭირა ადგილები კასპიიდამ მანჯურიამდის და ჩაგათაის სამეფოის ტახტზედ ეპყრა თჳსად დამორჩილებული ჩინგიზ-ხანის შთამომავალი დიდის ხანის უნაყოფოს წოდებით. იმისი უფლება განვრცელდებოდა უმეტეს იმ ქვეყნის ნაწილზედ, რომელნიც უწინვე დაეპყრათ მონგოლებს. ყიფჩაყის ურდოს თავადნი, მფლობელნი რუსეთისა მიიწვევდნენ ხოლმე შეუმდგომელად თავიანთს შფოთებში. იმათ თავს დაუყენა ლანგ-თემურმა ტახტამიში. მაგრამ ტახტამიში ამით მადლიერი არა იყო, შემდგომად რაოდენისამე წლისა იმან მოინდომა გადაგდება თავისაგან თემურის მონების უღლისა. ბრძოლა არა იყო თანასწორი. გარდასაწყვეტის ომის დაწყების დროს, თემურის ჯარიდამ გამოვიდა მოხუცი შეითი ბერიკი, წარმოსთქვა ლოცვა, და აიღორა ერთი მუჭი მტვერი, შეაყარა მტრის ჯარსა: თქვენამც

დავიბნელდებათ შიში დამარცხებისა სირცხვილითა, სთქვა იმან. ვოლღის მახლობლად დამარცხებული ყიფჩაყის-ხანი გაიქცა, შეჰყარა ახალი ჯარი და 1395-სა წელში ხელახლათ შეხვდა თემურს თერგზედ. ლანგ-თემურმა კიდევაც დაამარცხა და სრულიად შემუსრა ძალა თავისის წინააღმდეგისა. რუსეთისათვისაც მოვიდა დრო განცდისა. კულიკოვის ომს ეტყობოდა, რომ უსარგებლო ძალ-დატანებადა იყო ხალხისა. მამაი როგორ შედარებოდა თემურსა, ახლანდელს გლეცამდის მივიდა რკინის კოჭლი, როგორც უწოდებენ იმას ჩვენი წერილები, და შედგა. აღმოსავლეთის მწერალნი იმის წინ წასვლის გაუბედაობას აწერენ ვითომც დიდს სიმდიდრეს, რომელიც მოხვეჭა ამ ჯარიანობაში. მაგრამ მართლმადიდებელი ეკლესიაკი დღესასწაულობს 26 აგვისტოს ვლადიმირის-ღვთის-მშობლის-ხატის მოსკოვში გადმოსვენების დღეს და ლანგ-თემურის უკან დაბრუნებას. მართლათაც, ლანგ-თემურს ვერ შეაშინებდა მზადება დიდის თავადის ვასილი დიმიტრიევიჩისა, თითქმის სასიკვდილოდ თავ განწირულის თავისის ხალხისათვის, და ვერც ის საუნჯე გააძღობდა, რომელიც იშოვნა სამხრეთ-აღმოსავლეთს რუსეთში. მაგრამ იმ დროიდამ-კი თემურ აღარ შეხებია ევროპის სამძღვართა; იმის ღვაწლისა მოედნად გახდა აზია. მე კიდევაც გითხარით, რომ არ შემიძლიან დაწვრილებით აღვიწერო მრთელი ცხოვრება ლანგ-თემურისა, თუნდა დროც ნებას მაძლევდეს, მაშინაც საჭიროდ არ შევრაცხდი დავდო თქვენ

ყურადღება უბრალოს დაწვრილებაებით, სადაც მეტს ვერას გაიგონებთ, როგორათაც ერთგვართ მხარეთ ათხრობათა და დაქცევათა: სადაც ის გამოჩნდებოდა იყო როგორათაც რისხვა-ღმრთისა. მხოლოდ დავა-ნახვებთ მოკლედ იმის თჳსებათა, რომლითაც გაი-ცნობთ თქვენ იმის ბრძოლის გვარს და თჳთ ლანგ-თემურის სახესა. სპარსეთმა თავისის გეოგრაფიულის მდებარეობით, სხვა მხარეებზედ უწინ, მიაქცია თავის თავზედ ყურადღება ჩავათაის თათართ წინაამძღომე-ლისა და ჩავარდა იმის უფლებას ქვეშ. მრავალ ხალხიანს, ვაჭრობით აღუვავებულს ისპაჰანში ადიმრა შფოთი და ისპაჰანელნი უკუდგნენ მონგოლებს. ლანგ-თემურ დაბრუნდა, ბრძოლით აიღო ქალაქი და თავისი სახსოვრად ისპაჰანის მოედანზედ აღმართა მეგლი, აშენებული სამოცდა ათი ათასის კაცის კინკრიხოთაგან. ამისთანა სახსოვრები დაადგო მრა-ვალს აზიის ქალაქებში. უფრო უმწარესი ხვდა წილად ბაღდადს. დიდმა განშვენებულმა ქალაქმა აღმოსავ-ლეთის მახმადიანთა, ოდესმე სატახტომ ხალიფათა აბასსიდთა, გაბედა წინააღმდეგობა თემურისა და ამ გამბედაობისათჳს იზღვია მრთელის თავის მსახლო-ბელთ აღხოცით. ზოგნი მცხოვრებნი დაინთქნენ ტიგრის ზვირთებში; თავებთაგან დანარჩენთა, რო-მელნიც მოიხრნენ ლანგ-თემურის ჯარისაგან, აშენ-დნენ ასოცა მომცრო კოშკები. მაგრამ ამა ყოველ-თა საშინელებათა განა შეუძლიანთ შეუთანასწორდნენ იმათ, რაც რომ ინდოეთმა გამოსცადა. ლანგ-თემუ-რმა აირჩივა იგივე გზა, რომლითაც ოდესმე შევიდა

სხვა გვარი დამპყრობელი, ალექსანდრე დიდი. ფენ-ჯაბში ჲ განგესის ვაკეში დელამდის არ დაადგო ერთი მრთელი ქალაქი არც სოფელი. გროვანი ნანგრევთა ჲ მკვდართა სხეულთანი ამტკიცებდნენ ახლად თათრის ჯარის გავლასა. მაშინდელი ირიცხებოდა ინდოეთის ერთს უმდიდრეს ქალაქად. აპირებდა რა იმაზედ იერიშის მიტანასა, თემურმა მოივონა, რომ იმის ურდოში იყვნენ ასი-ათასი ტყვე შეკრებილნი ქალაქის გარეშემო სათხრელად. იმან ბრძანა, რომ ერთიანად ამოეწყვიტათ ისინი. ეს ბრძანება დაუყოვნებლად იყო აღსრულებული, თითონ დელშიაც მოიოხრა რამდენიმე ასი-ათასი კაცნი. ინდოეთიდამ დაბრუნებაზედ, ლანგ-თემურმა თან წამოასხა ერთ-მილიონამდის ტყვე, სხვათა შორის ბრძანება გასცა, რომ თან წამოეყვანათ ყოველნი ხელოსანნი ჲ ჰსწავლულნი. ამ მძვინვარეს სულში იფარვოდა რადაც გასაოცარი პატივისცემა ჰსწავლისა. შემდგომთა ამგვართავე ღვაწლთათვს აირჩია მოედნად ასურეთი ჲ სამფლობელოები თურქთა სულთნისა, იმ დროს ევროპის მემუქარისა. დამასკი ჲ ალეპო ამოიფხივნენ დროებით აზიის შესანიშნავთ ქალაქები სიიდამ. მცხოვრებნი მათნი იყვნენ ამოხოცილნი ანუ ტყვედ წაყვანილნი შუა-აზიის შუაგულს მინდვრებში: უმეტესთ თემურისაგან დაპყრობილთ ნაწილებში არა ჰსჩანსრა განსაზღვრებული სახელმწიფო ჰაზრი რაიმე: საფიქრებელია, რომ იმას წინა უძღოდა მარტო უანგარიშო გნება აოხრებოსადმი. აქცევდა რა მდიდარსა მხარესა, ამოფხვრიდა

რა სამარყველამდის იმის ქალაქებს, ასრულინებდა რა თავის ცხენებს ფერხით იმათს მრთელს მოსავა-ლს, აგებდა რა კედლებს მოჭრილის თავებისას, ის მიდიოდა წინ, და არა ზრუნავდა თავის სამფლობე-ლოს მტკიცედ დამყარებისათვს, მისგან დატევებულის უსახურს უდაბურში.

შეხვედრა თემურისა ბაიზითთან ეკუთვნის საზოგა-დო ისტორიის დიდთა შემთხვევათა. იმათ ორთავე ჰქონდათ მსგავსება აღმოსავლეთის მებრძოლთა. მაგრამ ბაიაზითი ამაოდ არ შეხება ევროპის ად-გილს: მან მიიღო იმისი გავლენა. ისა ფიქრობდა მტკიცის საკელმწიფოს დაფუძნებისათვს. მაგრამ ბრ-ძოლა დაიწყებოდა ბაიაზითსა და თემურ-შორის გაიმართა მიწერ-მოწერა დიდის ცოდნისა. სადაცა გამოდეულ იყვნენ მრთელი დანმდვის ფრაზები, რომელიც მიღებულია აღმოსავლეთის სახელმწიფოს მიწერ-მოწერაში. ამ შეურაცხებისათვს იზდვიეს მცირის-აზიის მცხოვრებთა. პირველი ქალაქი ბაია-ზითისა, რომელზედაც დაეცა რისხვა ლანგ-თემუ-რისა, იყო სვაში (*), აღებული შემდგომ დიდხნის გარშემოდგომისა, რომელშიაც გამოიჩინეს განსხვა-ებული ხელოვნება მონგოლის ინჟინერთა. ამ სა-განში ლანგ-თემურ მართლად დიდი კაცი და ჭეშმა-რიტი ხელოვანი იყო, იმის ჯარში ბევრი მომატე-ბული წესი ჰსჩნდა, ვინემც ბაზითისაში; იმან შემო-იღო პოლკებათ დაწყობა, შემოიღო ერთრიგათ

(*) უწინდელი სებასტე.

ჩაცმა, და სხვაც მრავალნი, რაც შემდგომ შემოვიდა ევროპიელთ ხალხთ ხმარებაშიაც. სივაში დაეცა მონგოლების გარშემოდგომის ხელოვანებათა მცხოვრებნი მისნი, მახმადიანნი, უმეტესი ნაწილნი იყვნენ ამოწყვეტილნი, ანუ ტყვედ წაყვანილნი, მაგრამ ამაზედ უსაშინელესი საქმე დაემართათ ოთხ ათასს სომეხთ მხედართ, რომელნიც იყვნენ შეერთებულნი თურქებთან ამ ქალაქის დასაცველად. ისინი სულ ცოცხლები იყვნენ დამარხულნი. სხვათ სასჯელთ დაწვრილებით მოყვანას ვერ ვბედავ, რადგანც ისინი ამაზედ კიდევ უსასტიკესნი არიან, ანგორის (ნაცირის) მინდვრებზედ, სადაც ოდესმე პომპეიმ გაიმარჯვა მიტრიდატზედ, პირისპირ შეიყარნენ ბაიაზითი და რკინის კოჭლი. მოხდა ერთი უსაშინელესი ბრძოლათაგანი, რომელნიც ახსოვან ისტორიას. ომში მილიონზედ მომატებული იყო მებრძოლი, შეკრებილნი დიახ შორის კუთხეებიდამ. ლანგ-თემურმა თან მოიყვანა თითქმის მრთელის აზიის მებრძოლნი; ბაიაზითის ჯარში იყვნენ ოცი ათასნი სერბნი ქრისტიანენი, რომელნიც შეადგენდნენ უმჯობესს მეწინავეს ჯარს; იმათ უკან უდგნენ ენგიჩრები, შემდგარნი დატყვევებულთ ქრისტიანეთ შვილთაგან, ენგიჩრებს უკან მისდევდნენ ნამდვილნი თურქნი. ბაიაზითი ფიქრობდა ქრისტიანეთ სისხლით თავის გამარჯვების მოსყიდვას. ის სრულებით დამარცხდა. აქ არის რაღაც ბნელი და პოეტიური სიდიდე მოთხრობაში ლანგ-თემურისა და ბაიაზითის ერთმანეთის ნახვაზედ. თემურმა მიიღო

ის ხალიჩაზედ მჯდომარემ. «დიდ არს უფალი, უთხრა იმან, მომნიჭებელი ჩემდა კოჭლისა ამის ნახევარ ქვეყნისა და ქვეყნის ნახევრისა შენდა სრულისა მაგის; შენ ხედამ, რომელ მცირეა თვალთა შინა უფლისათა ქვეყნიური სიდიდე». მრთელი იმათი საუბარი სავსე იყო მწუხარებითა. თემურ არა ლანგმდავდა თავის დაჩაგრულს მტერსა; იმისი სიტყვები სავსე არიან სამწუხარო მგრძნობელობითა დამარცხებულის სვისადმი. მოთხრობაებს შემდგომთა მწერალთანი იმაზედ, ვითომც ბაიაზითი გალიაში ჰყვანდა შეპყრობილი და მკაცრად ექცეოდა, მოკლებულნი არიან სრულს სიმართლეს. არც ერთი იმ მედროეთაგანი ამას არ იხსენებს. წინააღმდეგ, ჩვენა გვაქვს ნამდვილი მოწმობაები, რომ თემურ უკანასკნელს თავის სიცოცხლეშიდ სულთანს შესაბამის პატივით ეპყრობოდა. აღმოსავლეთის მოთხრობათ. გარდა ჩვენა გვაქვს მოთხრობანი ევროპიელთა, რომელნიც დამსწრენი ყოფილან იმ ბრძოლისა. სხვათა-შორის იმ დროს ლანგ-თემურის კარზედ იყვნენ ელჩნი კასტილიის კაროლის გენრიხ III (მესამისა). ევროპიის ხალხნი უყურებდნენ ანცარიის მძლეველს, როგორათაც თავიანთ გამომხსნელს თურქთაგან, და მართლათაც ლანგ-თემურის გამარჯვებამ ორმოცდა-ათის წლით უკან დააყენა კონსტანტინე-პოლის დაცემა და დიდ ხანს შეაყენა თურქთ საჭურველის წარმატებას. 1403 სა წელსა გენრიხ III ემ წარმოგზავნა თემურის წინაშე ახალნი ელჩნი, რომელთ რიცხვშიაც იყო სასახლის დარბაისელი, გონზალეც დე კლავიგო,

რომელმაც დაუტევა დიდს საცოდნელი დღიურნ ცხო-ვრება თავისის მოგზაურობისა. იმ ელჩთ ველარ მიუსწრეს თემურს მცირე-აზიაში და იმისთჳს უნდა წასულიყვნენ იმის სატახტოს ქალაქს სამარყანდს. იმ ადგილებს, რომელზედაც უნდა გაევლოთ, ჯერ კიდევ აჩნდათ ახალი ნიშნები აოხრებისა. განსაკუ-თრებით შესაზარებელია აღწერა თავრიზისა, სადაც მართებლობდა თემურის მაგიერ ძე მისი მირან-შახი. ქალაქი იყო დიდად მდიდარი და ეკუთვნოდა იმ ად-გილთ რიცხვს, სადაც ეწყობოდა მრთელის აზიის სავაჭრო, მაგრამ ნანგრევნი დიდისა, მრთელს ად-მოსავლეთზედ განთქმულის სასახლისა და სხვათაც წარჩინებულთა შენობათა, აცხადებდნენ თათართა მჳნ ყოფნასა. ამ დანგრევათა მიზეზი კი თითონ თემური არ იყო. იმისი შვილი მირან-შახი რადაც უმაწვილური, გიჟური მხიარულებით ანგრევინებდა დიდ ხნის შენობათა და სიამოვნებდა ცეცხლის მო-კიდებაზედ, იქამდის, რომ ბოლოს მამამკე შეაყენა ის. ამას იქით კლავიხო შეხვდა მრავალთა ძველთა კაცის თავებისაგან ნაგებთა, თემურის გამარჯვებით სიარულის დამამტკიცებელთა. ამასთანავე შესანიშნავია სამარყანდის ქალაქის აღწერა. ამ ქალაქის მსწრა-ფლად ამაღლების მიზეზი იყო ნება თემურისა. კლავიხომა ნახა იმ ქალაქში ხალხის სიმრავლე, ყოველის აზიის კუთხებიდამ მალად შეკრებილთ მო-სახლეთა. აქ იყვნენ დასახლებულნი მსწავლულნი, ხელოვანნი და ხელოსნები, რომელნიც თან მოუყვანა თემურს თავისაგან დაპყრობილის მტრის მხარებიდამ.

მახმადიანნი ერთათ ჰსცხოვრებდნენ ინდოელებსა და ცეცხლის თაყვანის-მცემლებთან. კლავიხო განკვირვებით ამბობს დიდად განშვენებულს სახელმწიფოს კარსა და სასახლეზედ, და თემურის საზაფხულოს ურდოზედ, რომელიც შესდგებოდა ოცი ათასის კარვით. ზოგი კარვები გარედამ ფარჩით იყო მოკრული, შიგნიდამ შემკული ძვირფასის თვალებით სხვა და სხვას ფერადობაში ნაქარგებითა. როდესაც თემურს მიუდგა კლავიხო, მაშინ ის ყოფილიყო ღრმას მოხუცებაში, ძლივს თურმე იჯდა და ბალდატანებით შეეხედნა ელჩისათვის, მაგრამ მოუძლურებულს სხეულში სცხოვრებდა ჯერ კიდევ მტკიცე და მძვინვარე სული. რკინის-კოჭლი მაშინ ფიქრობდა ჩინეთზედ წასვლას. იმან შეჰკრიბა თავისი სარდლები და უთხრა: «ჩემსა და თქვენს სულს მრავალი ცოდო აქვს; ჩვენ ბევრი სისხლი დავღვარეთ მახმადიანთი; დრო არის გავიბანოთ ის სხვის ურჯლო ღვთის სათნოს სისხლითა; წავიდეთ მოვსწყვიტოთ ჩინელნი წარმართნი.» მეორე ღირს-საცნობელი აღწერა, დატყვევებული ევროპიელისაგან, ეკუთვნის ნემეცს შილდბერგერს. ის იყო მიუნხენიდამ და ემსახურებოდა ერთს რიცართაგანს- მონაწილეს ქრისტიანეთათვის იმ უბედურს ბრძოლაში ნიკოპოლისთან. 1395 წელსა, რომელშიაც ბაიაზითმა სრულებით დაამარცხა სიგიზმუნდ ვენგრელი, თურქთა გაწყვიტეს მოშაცებული ნაწილი თავიანთ ტყვეებისა. შილდბერგერი გადაარჩინა თავისმა სიყმაწვილემ. ის შევიდა სულთნის ამალაში (СВИТА) იმა-

სთან დაესწრო ანცირის ომში და იმასთანავე ერთად ტყვედ ჩავარდა თათრებში. მოესწრო ბაიაზითისა და თემურის სიკვდილს. ემსახურებოდა ლანგ-თემურის შვილებს; შემდგომ წავიდა თავის სამსახურს სხვა და სხვას მახმადიანთ თავადთ და დაბრუნდა ევროპაში შემდგომ ოცდა ორის წლის ტანტალისა აღმოსავლეთზედ. შილდბერდერი იყო გაუსხეპარი და გაუნათლებელი ნემეცის მოჯამაგირე. ისა ვაჭრობდა თავისის სისხლით და სინიდის შეუმრწუნებლად დღერიდა სხვისასაც. იმის მოთხრობანი აღბეჭდილნი არიან ამ უგრძნობელობის ცოგბულობითა. იმან გულდამშვიდებულად გადმოსცა თავისს მკითხველთ ის საშინელებანი, რომელთ მოწამეც თითონ იყო, ანუ გაგონილი ჰქონდა სხვათაგან. სხვათა შორის იმის მოთხრობაშია შემდგომი ამბავი: ერთხელ რომელღაც ქალაქის მცხოვრებთა განურისხდა ლანგ-თემური, რომელთაც წინ მიაგებეს იმას თვისი შვილები გალობით ყორანიდამ თავიანთს შესაბრალებლად. ამ ყრმების დანახვაზედ თემურში აღიძრა სული მოსყრისა. იმან გააქროლა თავისი ცხენი პირ და პირ იმათზედ და უბრძანა თავის მხედრობასაც უკან მიყოლა. უბედურნი მშობელნი, მაყურებელნი ქალაქის კედლებიდამ, თვალით ხედამდნენ თავიანთის შვილების გაწყვეტას თათართ ცხენებისაგან იმათის დასრესას: რასაკვირველია, ეს შემთხვევა რაოდენჯერმე გამეორდებოდა. შილდბერდერი ამბობს ამას ისპაჰანზედ; მახმადიანთ ისტორიკოსნი, რომელღასაც ერთს მცირეს აზიის ქალაქებთაგანზედ.

მე კიდევაც შევნიშნე, რომ ლანგ-თემურის საქმიანობაში არ უნდა ვეძიებდეთ უმთავრესს საფუძვლიანს საპოლიტიკო ჰაზრს. ქებანი რომელთამე ახალთა ისტორიკოსთა, მაგალითად გამმერისა, რომელნიც ხედვენ რკინას-კოჭლს რადგანაც განსხვავებულის მოქალაქობის დამაფუძნებლად, დიახ უსაფუძვლონი არიან. სად არიან ნაკვალევნი და ნიშანნი ამ მოქალაქობისა? თემურ შეპყრობილი იყო გაუმაძღარის საქმიანობის წყურვილით, მაგრამ იმას არა ჰქონდა განსაზღვრებული და ცხადად დასკვნილი ჰაზრი. კანონნი იმისაგან გამოცემულნი წინააღმდეგს არ გვიმტკიცებენ. იმათ შეუძლიათ გაემაგრებინათ დროებით ერთს ადგილზედ დაფუძნებული შემძლებლობა, მაგრამ არ შეეძლოთკი დაემყარებინათ მყოფობა ნამდვილის სახელმწიფოსი. ყოველიკე, რისაცკი შემძლებელი იქნება მარტო ერთი ძალა, ჩინგიზ-ხანისა და თემურისაგან იყო ნამოქმედარი. ამისგამო იმათი ღვაწლი უმეტეს დამაქცევარია ვინემც მაშენებელი. გარეგანი ძალა ეკუთვნის საზოგადო ისტორიის დიდთა მოსაქმეთ რიცხვსა, მაგრამ იმისი მოქმედება აღსრულებითა ბოლოვდება. იქ, სადაც ძალა შეერთებული არ არის კეთილნაყოფიანს იდეებთან, იმისნი ნაწარმოებნი სუსტნი და უსარგებლონი იქნებიან. სპარსნი ტყუილად არ ეძახდნენ თემურს გაუმაძღარს მარადის მოსწრაფეს და ვერაოდეს ვერ მომწყენელს. თვით იმაშივე იყო არეული. მაგრამკი ამაღლებული ჰაზრი და გაგება სწავლის მნიშვნელობაზედ. ის სურვილით მუსაიფობდა ხოლმე მსწავლუ-

ლებთან, იცოდა ისტორიულნი მოთხრობანი აღმო-სავლეთისა და დასავლეთისა, პატივსაცემად ასტრო-ნომიას და ჰსწავლა ასტროლოგია. ბედნიერება და უბედურობა კაცისა დამოკიდებულია, ჰსთქვა ერთ-ხელ იმან, არათუ ვარსკვლავთ მდებარეობაზედ, არამედ იმის ნებაზედ, ვინც შექმნა კაციც და ვარ-სკვლავნიც. მძვინვარე სული თითქმის იმისი საღუთის მეტოქეულოს განსჯამოცკი გამოიყურებოდა. იმას უყვარდა თავის მოსაუბრეთ შემაწუხება საშიშარის კითხვების მიცემით. ალეპოს ცეცხლის გამძლიერების დროს, როდესაც ისმოდა სიმწარის ხმა მომაკვდავთა მცხოვრებთა, იმ დროს იმას გულდამშვიდებული სწა-ვლული ლაპარაკი ჰქონდა იქაურს მოლებთან. «ალე-პოს ომში, ჰკითხა იმან მოლებს, ჩემნიც ბევრნი დაიხოცნენ მებრძოლნი და თქვენნიც: იმათგანნი რო-მელნი უფრო ღირსნი არიან სამოთხისა?» ისინი, რომელნიც აღესრულნეს ღუთის სარწმუნოებით, მიუგო გონიერმა მუფთიმ.

ლანგ-თემურ მოკვდა 1405-სა წელსა. ას წელი-წადსაც არ გაუვლია შემდეგ თემურის გარდაცვა-ლებისა, და იმის სახელმწიფო დაირღვა კიდეც. მართლა ინდოეთშიდა დარჩნენ იმისნი შთამომავა-ლნი, შეზღუდვილნი გარეგანის უფლების ბრწყინვა-ლებითა, მაგრამ უძლურნი, მოკლებულნი თითქმის თავიანთის თავისუფლებისა შემკვიდრენი დიდის მონგო-ლისა. სხვათა აზიის ქალაქებში თემურიანნი იყვნენ გად-მოყრილნი ტახტიდამ იქაურთ მეფეთ გვართაგან. რო-დესაც თემურ დააპირებდა რომელსამე მხარეზედ

საომრად წასვლას ის იტყოდა თავის მტრებზედ: «მე იმათ დაუქროლებ დამარღვეველს ქარად.» დამარღვეველმა ქარმა დაუბერა იმის საკუთარს საქმეს და თჳთ იმასვე გვარს. ნაყოფად ომიანობათა რომლითაც სავსე არიან მეთოთხმეტე საუკუნის ათნი უკანასკნელნი წელნი, დარჩნენ მარტო ძეგლები კაცის კინკრიხთა. ამ სახსოვრებს შეიძლება კიდევ დაუმატოთ უკაცურნი მინდვრები, რომელნიც წარმოსდგენენ ოდესმე ყვავილოვანს და ხალხით სავსეს მხარეებში: მოიგონეთ უდაბნი მინდვრები ახლანდელის თურქისტანისა. უდიდესი ნაოხრები ქალაქებისა, დანაშთენნი არხთა, ამოწმებენ, რომ ბუნებისაგან არ არის დადებული ამ ადგილებზედ საშიშარი და გარეული სახე, რომლითაც ახლა ისინი ერჩევიან. აქ გაუკლიათ მონგოლებს. კაცი ადვილად ეჩვევა საშიშროება რომლითაც ეშუქრის იმას ბუნება. ის აშენებს ახალს სადგომს ცეცხლის მფერავის მთის ძირს იმისის მამის ჩამქრალავს წიდაზედ; კაცი ზღვასაც არ უთმობს ნავარს ვაჭრობისათჳს სასარგებლოს და უშიშრად სდგამს თავისს სახლს სხვას ნანგრევზედ, რომელიც ღელვისაგანვეა დაქცეული. ანგარება ანუ სხვა რაიმე სარგებლობა იჭერს თითქმის იქაც კაცს, სადაც ყოველთჳს მეფობს ჭირი. შეხედეთ ახალს ორლეანს და ბატავიას. მაგრამ მონგოლნი და თათრები მოქმედებდნენ უფრო მომატებულის წარმატებით, ვინამც ცეცხლის-მფერავი მთა, ზღუა და ჭირი. არის ადგილები, რომელშიაც როგორც ეტყობა საუკუნოდ დარჩა იმათი ამაოხ-

რებელი ქვალი. იმ ადგილთ დაჰკარგეს ბუნებითი ნაყოფიერებაცა, რომლითაც იხსენებოდნენ უწინ.

ჩემგან მოტანილი ზემოთ ვენეციელის მარკოპოლოს ჰაზრი ახლაც შეიძლება ვიხმაროთ მონგოლთ ჩვეულობათა გამომხატველად. მონგოლი დაბრუნდა სამშობლოისავე მინდვრებში, სადამაც გამოიყვანა ის ჩინგიზ-ხანმა ისევ ავისებურად ჰსცხოვრებს ნაბდის ალაჩუხში, აძოებს თავის საქონელს და დაივიწყა იმან ის ნებიერობა, რომელიც გაიცნეს იმის წინაპართა მეცამეტეს და მეოთხმეტეს (XIII) (XIIII) საუკუნოებში. დრომ ჩინგიზხანისამ და თემურისამ განვლო როგორათაც სიზმარმა. უწინდებურათ ისმის მონგოლების მინდვრებში შესაბრალისი სულამდის ჩამწდომი სიმღერა, რომელშიაც ხანდახან ისმის ხმება წარსულის დიდებისა, იმედი ახალთა დავწილთა და ახლად ამაღლებისა. მაგრამ იმ იმედთ აღსრულება აღარ არის შესაძლებელი. ვსთქვათ რომ ახლად აღსდგეს კიდეც იმისთანა პირი როგორათაც ჩინგიზხანი ანუ ლანგ-თემური და მოუწოდოს თავის ხალხს მათგან ვემო გადებულის მოქმედებისთვის, იმისა მალდატანება აუცილებლად უნდა შეიმუსროს ახალთ ისტორიულ პირობებზედ. განა საით წაიყვანეს მხედრობას პატივის მოყვარე წინამძღვარი მონგოლთა. სამხრეთზედ ინდოეთისკენ, საშუადამოს სავნისალმი აღმოსავლეთის მებრძოლთა? მაგრამ იქ არის ამაღლებული გამაღლაიის მთის ზურგზედ უმაგრესი კედელი. ის იქ შეხვდება უწინდელთ ინდოელების სამაგიეროთ მტკიცეს სიპაის პოლკებს ანგლიის

აჟიოცრების დამორჩილებულთა. თუ გაემართება სხჳას ნაცნობის გზით დასავლეთისკენ? მაგრამ იმას აქ მიელის მეარი, და საქრისტიანო, განათლებული საკელმწიფო. პატივით გამტარებელი გრძელის პერიოდისა თავისის ისტორიულის განცდისა, შეჯახება მონგოლთა საშიში აღარ არის რუსეთისათჳს, რომელმაც დიდი ხანი არ არის პასუხი გასცა უპროდილს-მემუქარეს მებრძოლს, ვინამც დიდი ხნები. რიგი ერგოთ ჩვენთ უწინდელთ მფლობელთ, რომ ახლა იმათ გამოსცადონ რუსთ უფლება. მაგრამ რუსეთი ბოროტისათჳს ბოროტს არ მიაგებს იმათ. ქრისტიანე სახელმწიფოს შეაქვს გარეულთ ალაჩუხებში ჭეშმარიტი სარწმუნოება და იმასთან განუშორებელნი განათლება და მოქალაქობა. ჩვენმა მამულმა უნდა გააკეთილშობილოს და მოიხმაროს კაცობრიობის სახარგებლოდ ძალანი, რომელნიც აქამდისინ მოქმედებდნენ მარტო დამაქცევრად. დაწყებულიც არის ეს. 1813 -სა და 1814-სა წელიწადებში განკვირვებულთ ევროპა ხედავდა თავიანთ დამომხსნელთ რიცხვში ფრანცუზთ მონებისაგან ბაშკირსა და კალმუხს, მდგომარეთა თანასწორ ერთისავე ერთისავე საქმისთჳს დიდთ კეთილშობილთ და განათლებულთ გერმანიელთ უმაწვილკაცებთან.

თ. რ. შალვას-ძე ერის-თავი.

1857-სა წელსა. ივნისის 1-სა.
ს. კარალეთი.

5.

# მოქმედება 2.

## გამოცხადება 1.

(სასახლე კოროლისა.)

პოლონი და რეინოლდი.

პოლონი.

ჰოდა, გაიგონე? აჰა ფული და ქაღალდები.

რეინოლდი.

შენს ბრძანებას აღვასრულებ.

პოლონი.

მაგრამ, უწინარეს, როგორათაც გითხარ, დაფარულად აქეთ იქით უნდა გაიგო ყოველივე-ანა, გეყურება?

რეინოლდი.

დიახ.

პოლონი.

მიყუარს ოდესაც მეყურებათ. აი ასე, მორიდგან, დაიწყე: ვინ არიან ერთმემამულენი შენნი, როგორ სცხოვრობენ და რას აკეთებენ პარიჟ-ში, ვინ სად სცხოვრებს, ვისთან აქვს მსვლელობა, მერე, თითქოს არა განგებ, ლაერტზედაც, მაგრამ ხერხიანათ, მოიტანე სიტყუა. პირველად თქვი, რომ ლაერტს სრულებით არ იცნობ, ანუ აი ესე: «ლაერტის მამას ვიცნობთქო, ისე, მცირედ, და ნათესავათა მცირედ» გეყურება?

რეინოლდი.

დიახ.

ჰოლდონი.

„ჰო, დაუწერსაცა მცირედი"; და მერმე ჰკითხავ: „ის ცელქი უმაწვილი კაცი ხომ არ არის ესრეთი, ისრეთი"—და შეგიძლიან მრავალი ჰსთქუა მხოლოდ არა ცუდი, ღმერთმა დაგიფარონს—არა, რა, აი როგორ, თქვი რაც მოგხუდეს, რაცკი უმაწვილკაცს მიეტევება და ცოდუად არ შეერაცხება.... აი, აი...

რეინოლდი.

აი მაგალითებრ, ქაღალდის თამაშობა?

ჰოლდონი.

თუნდ—ქაღალდის თამაშობა, ღვინო, მაშფოთარობა, ჩხუბი, არშიკობა...

რეინოლდი.

განა ბიწი არ არის ეგე?

ჰოლდონი.

ბიწი! ყოველივე დამოკიდებულია მაზე, როგორც რას იტყვი. ნუ უწოდებ დაუწერს პირდაპირ მოთამაშედ, მაშფოთარად; მხოლოდ წარმოადგინე იგი დადგომილ უმაწვილკაცთა ნებაზედ, რომელთაცა აქუსთ ცხელი სისხლი და თავისუფალი თავი... აქ უნდა, ესრეთ, ხელოვნობით... ნუ თუ არ გეყურება?

რეინოლდი.

რა საჭიროა ეგ?

ჰოლდონი.

ესე იგი, აქედგან რა გამოვა?

რეინოლდი.

დიახ, მე მინდა ვიცოდე თქჳენი ჰაზრი.

პოლონი.

აი, ხედავ, რა ჰდანია აქ—მგონია არ არის ცუდი, საკმაოდ მარჯვე-ა. ოდესაც შენ გადააბნეჳ შენს ნიშნებსა, ბეჯითად შენიშნე: რას იტყვის ვისაც ელაპარაკები. დარწმუნო იყავ, თუ მცირე მცირედი მაინც არის საფუძველი შენს ნათქჳამში შენთან მოლაპარაკე ესრეთ დაიწყებს: «დიახ, მოწყალეო ჴელმწიფეო», ანუ «დიახ, მეგობარო» ანუ «დიახ, უფალო პატიოსანო»... ესე იგი, ისე დაიწყებს, როგორათაც იქ იმათ-ში იტყვიან...

რეინოლდი.

ვსთქჳათ, რომ იტყვიან როგორმე ის-იტყვის...

პოლონი.

დიახ ის იტყვის... იტყვის... რა-ზე ვლაპარაკობდი? შენ სულ გადამრიე! მე რაღასაც ვამბობდი...

რეინოლდი.

დიახ, ის დაიწყებს, «ჰსთქვით თქჳენ»...

პოლონი.

ჰო, დიახ! აი ის დაიწყებს: «მე ვნახე დიახ, ის უფალი გუშინ იქ იყო, დღეს აქ; აქ იყო მთვრალი იქ წავჩხუბა, იქ იყო»... ხედავ, შენი ნიშანი იყო წილკავად, და შენ ამ წილკავით დაიჭირე ჭეშმარიტობას. ესრეთ, საყვარელო ჩემო, მეცნიერი და მარჯვე კაცი გარეშედ, შემოვლით, მოხვეხვეულებით, პირდაპირ მიაგნებს, რასაც ეძიებს; შენც ესრეთ მოიქცევი ამ საქმეში, და მართალს მიამბობ შჳლ-

ჰე. გეყურება?

რეინოლდი.

მეყურება.

პოლონი.

კარგი! კეთილი გზა მოგცეს, წადი — ღმერთი იყოს შენთანა.

რეინოლდი.

მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

პოლონი.

ამასთანავე, ნუ დაივიწყებ, შენც შენიშნო!

რეინოლდი.

დიახ, რასაკვირველია.

პოლონი.

ამასთანავე იმას ნუ შეამცნევინებ!

რეინოლდი.

მშვიდობით.! (მიდის.)

პოლონი.

ღმერთი იყოს შენთანა! (გამოდის ოფელია.) — აბა, ოფელია, რა არის ახალი ამბავი.

ოფელია.

ოჰ! ღმერთო ჩემო! შიშისაგან სულ ვკანკალებ!

პოლონი.

რა, რა მოხდა? მითხარ ჩქარა!

პოლონი.

მე ჩემს ოთახში ვიჯექ საკერავ-ზე, პრინცი ჰამლეტი ანაზდად შემოვიდა, თავ-შიშველი, სულ გაწეწილი, ფერ-მიხდილი, კანკალებდა, სახე მისი ესრეთ იყო საშინელი, რომ, გეგონებოდა, თითქოს

შამტყუო მას ჯოჯოხეთის საიდუმლო....

პოლონი.

გასულელებულა შენის სიყვარულისაგან.

ოფელია,

არ ვიცი, მაგრამ, მგონია, ჭკუიდგან შეშლილა.

პოლონი.

რა გითხრა ჰამლეტმა?

ოფელია.

ჰამლეტმა ხელი წამტაცა, მაგრა მომიჭირა; მეორეს ხელით დაიფარა თჳალებში, აი ასე — და დიდხანს მიყურა მე პირისახეში; შემდგომ ამოიოხრა ესრეთ მძიმედ, რომ გეგონებოდა ამ ოხვრასთან სული მისი უნდა გაფრენილიყო. შემდგომ სამჯერ გაიქნივა თავი, გავიდა, და როდესაც მიდიოდა თჳალი არ მომაშორა, და არა ჰფიქრობდა, სად მიდიოდა...

პოლონი.

კმარა! ჩქარა წავიდეთ კოროლთან. მეუურება! ეს უგუნურება არის სიყჳარულის უგუნურება. სიყჳარული ყველაზე ადრე გვაგიჟებს ჩჳენ. მებრალება, პრინცი! იქმნება, უზდელად უპასუხე მის სიყჳარულზე?

ოფელია.

არა, მხოლოთ დავემორჩილე რა თქჳენს ბრძანებასა, მე წიგნები მისგან აღარ მივიღე, და აღუკრძალე ნახვა ჩემი.

პოლონი.

აი კიდეც მაგისაგან გასულელებულა! როგორ მენანება, რომ აჩქარდი და ძლიერ სასტიკად მოვიქეცი; მაგრამ მე ხომ მეგონა, რო ხუმრობდა!

განა კი შემძლო წინათ დაშენახა რაჲცა აქედგან წარმოსდგებოდა! ავჩქარდი უგუნურად! სულკი მიზეზი-ა წყეული მიუნდობლობა-ჩუენ მოხუცნი ახირებულნი ვართ. გავეშურნეთ, კოროლს ყოველივე მოვახსენოთ. მას ეწყინება არა უფრო საყუარელი ჰამლეტისა, როგორათაც ისი, თუ ჩუენ ჭეშმარიტებას არ ვეტყვით· (მიდის.)

---

## კოროლი, დედოფალი, როზენკრანცი, გილდენშტერნი, კარის კაცნი.

კოროლი.

მშვიდობა თქუენი ნახუა, საყუარელნო როზენკრანცო და გილდენშტერნო. ჩუენ მოხარულნი ვართ თქუენის ნახვისა, და გარდა ამ სურვილისა, საჩქაროთ დავიბარეთ მისთჳს, რომ ჩუენ იმედი გვაქუს თქუენგან საჩინო სამსახურისა. თქუენ შეიტყობდით ცვლილებასა, რომელსაცა ხედვენ ყოველნი ჰამლეტში. ვამბობ «ცვლილებაზე» იმათ. რომელ ჰამლეტი აღარ ჰგავს თავის თავსა. მამის სიკუდილი ხომ არ არის მიზეზი ამისა? არ მეუწყება, და თქუენ ორთავეს გთხოვთ, როგორათაც მეგობართა და ამხანაგთა მისთა, დაშთეთ ჩუენთან, ეცადნეთ როგორმე გაართოთ ჰამლეტი; ამასთანავე გულ-მოდგინედ ყური უგდოთ და გამოიცნათ მიზეზი ცვლილებისა მისის ხასიათში, გონება-ში, ყოფა-ქცევაში. შევიტყობთ რა მის სნეულებას, ადვილად ვიპოვით წამალსა.

დედოფალი.

ჰამლეტსა ყოველთვის თქუენზე ეგრეთ ულაპარაკნია, როგორათაც თვის მეგობრებ-ზედ, და თუ თქუენ თანახმა იქმნებით დროებით დაშთეთ ჩუენთან, რათა შეგვეწიოვნეთ ჩუენს უბედურობაში, გვერწმუნეთ, რომ თქუენ საჯილდაოდ იქმნება ჩემი და კოროლის მადლობა.

როზენკრანცი.

ვერ გავჰბედავთ, დედოფალო, უარი მოგახსენოთ— თქუენ ნუ კი გვთხოვთ, ინებეთ გვიბრძანოთ!

გილდენშტერნი.

ჩუენ ორნივ ბედნიერებად მივიღებთ სამსახურსა და თქუენს ჴელმწიფობასა უმდგნით ჩუენთა ღონისძიებათა, მალთა და სურვილთა.

კოროლი.

გმადლობთ თქუენ, როზენკრანცო და გილდენშტერნო!

დედოფალი.

მეც გმადლობ თქუენ, და გთხოვთ ჩქარა წახვიდეთ უბედურ ჰამლეტთან. ერთი— ერთი თქუენგანი ამათ გააცილებს ჰამლეტთან.

კოროლი.

ღმერთმა ინებოს, რათა ესე სასარგებლო იყოს ჩუენთჳსაც, თქუენთჳსაცა.

დედოფალი.

აჰ! ღმერთმა ინებოს, ღმერთმა ინებოს!
(როზენკრანცი და გილდენშტერნი მიდიან, ერთი კარის კაცთაგანი მისდევს მათ.)

პოლონი.

ელჩნი, რომელნიცა თქჳენ ნორვეგიასაში გაგზავნეთ, გიახლენ, და — კეთილის ამბითა!

კოროლი.

შენ ყოველთჳს ყოფილხარ მამა სასიამოვნო ამბებისა.

პოლონი.

თქჳენ აგრე ჰფიქრობთ, კოროლო? მერწმუნეთ ყოვლად უმოწყალესო ჴელმწიფეო ჩემო, რომ მე თქჳენ, შემდეგ ღვთისა, თქჳენ შემოგწირავთ ყოველსავე, სულსაცა, ნიჭთაცა ჩემთა, და თუ ამ ჟამად ჩემმა მიხვედრილობამ აჰა მიღალატა, როგორაც ადრე არ უღალატნია, მე ვჰპოვე მიზეზი პრინცის მოშლილობისა.

კოროლი.

მაშ თქვი რაღა ჩქარა, თქვი!

პოლონი.

გნებავსთ თქჳენ პირველად ინახვინოთ ელჩნი, წარჩინებული-და გამოჩენა ჩემი დაეხსენ დაშთეს თქჳენთჳს საუზმედ შემდგომ მიღებისა ელჩთა.

კოროლი.

ჩქარა, აქ შემოიყვანე ელჩნი. (პოლონი მიდის.) გეტრუდა, პოლონი ამბობს, რომ უპოვნია მიზეზი ჰამლეტის შეშლილობისა.

დედოფალი.

სხჳა რა მიზეზი უნდა იყოს, თუ არ სიკჳდილი მამისა და ჩჳენი საჩქარო ქორწინება!

კოროლი.

ჩუენ ყოველსავე, შევიტყობთ. (პოლონის შემოჰყავს გოლტმანდი და კორნელი.) მოგიკითხავთ უფალნო! გოლტმანდო, რა მოგვიტანეთ თქუენ ჩუენის ძმისაგან, ნორვეგიის მეფისაგან?

გოლტმანდი.

ალერსი, მეგობრობა და კავშირი რა წამს მოვედით ჩუენ ნორვეგიაში, მეისვე მოჰკვეთა მან განზრახვა მტერობისა, რომელიცა ჰქონდა მას ძმისწულისა; ფორტინბრასმა დაარწმუნა ნორვეგიის მეფე, რომ ვითომც მან შეჰკრიბა მხედრობა პოლშა-ზე მისასვლელად. მაგრამ საიდუმლო მისი განზრახვისა, ჩუენ გამოუცხადეთ კოროლსა; მას ეწყინა, რომ ძმისწული წინააღუდგა მისის მოთმინებასა, და მკაცრად ელაპარაკა მას. მორჩილმა ბიძის ბრძანებისა, ახალ-გაზდა ფორტინბრასმა შეჰფიცა, რომ დაიცავს ჩუენთან მშვიდობასა, და მეგობრობასა. ამისთჳს კოროლმა ნება მისცა მოიყვანოს შეკრებილი მხედრობა პოლშა-ზე. აჰა ოქმი, რომელითაცა ჰბედავს და გთხოვთ, ნება მისცეთ ძმის-წულსა მისსა გაატაროს მხედრობა დანიის სახელმწიფო-ზე: კო-როლი თავს იდებს თქუენს შეუწუხებლობასა, და განაცხადებს პირობათა, რომელნიცა დაინახა საჭიროდ. შეიქმნა რა თანხმა ფორტინბრასის თხოვნაზე, თქუენის ნება დართვით.

კოროლი.

სასიამოვნო-ა ჩუენთჳს ყოვლისა მაგის მოსმენა, ჩუენ კარგა განვსჯით, და კოროლს პასუხით და-

მტკიცებთ, რომ ჩუენ გჳფასხენთ მისსა მეგობრობასა. ვმადლობთ თქუენ შრომისათჳს. წადით მშჳდობიანად მოისვენეთ. და ამაღამ გიხოთ მიიღოთ მონაწილეობა ჩუენს მხიარულებაში.

(კოლტმანდი და კორნელი მიდიან.)

პოლონი

პო-დიახ! ეს რასაკჳრველია მშვენიერია, კარგია. კოროლო და დედოფალო! თუ რო ვილაპარაკებთ მაზე რაა დიდებულობა, რაა ერთგულობა. რომ დღე არს დღე, ღამე არის ღამე, და დრო არს დრო, ყოველივე ესე ნიშნავს მას, რომ დავჰკარგავთ დღესაცა, ღამესაცა, დროსაცა. და ესრეთ, როგორათაც სიმოკლე არის სული გონებისა, მრავალ-სიტყუაობა-და მისი სამოსელი, სხეული — მე ვიქნები ლაპარაკში მოკლე. მე თქუენი არის გიჟი, იგი არს ისი გიჟს რომ ეტყვიან, მაგრამ ეს იქით იყოს.-

დედოფალი

მცირე თქვი და გაგებით.

პოლონი.

დედოფალო! გეფიცები, რომ მე საკუთრად ამაზე ვჰფიქრობ! ის გიჟია მართალია; სანანურია, და ამიტომ არის სანანური, რომ მისი სიგიჟე მართალია; სულელი ფიგურა (ოფელია). მაგრამ დაუტევოთ ოფელია, მისთჳს, რომ საქმე საქმე-შია! ჰამლეტი გიჟია — ჩუენ თანახმანი ვართ — და აჰა ჩუენ დაგვშთებნა ვჰპოვოთ მიზეზი ესრეთთა შედგომილებათა, ანუ უკეთეს ესრეთთა გამოკჳლეულობათა, ვინათგან გამოკჳლევა არს ისი, რომ კუალი

დაიკარგა საქმისაგან. ესრეთ, რასაკჳრველია, უკანა-სკნელ მივაწევი დასასრულსაც-უკერი მამაჰვარით. კო-როლო და დედოფალო! მე მყავს ქალი, ვინათგან ეს ჩემი ქალია, რომელმანცა მორჩილებისა და მოვალეობისა გამო, მე მომცა ქაღალდი — გთხოვთ მომისმინოთ:

»ზეციერსა, კერპსასულისა ჩემისასა უმშვე-ნიერესსა ოფელიასა.«

«უმშვენიერესსა!«-ცუდი, ლიტონი ფრაზი-ა, მაგრამ ინებეთ მოისმინოთ. და ესრედ:

»შენს მშვენიერს გულის სითეთრე-ზე,«

და სხვანი....

დედოფალი.

განა ეს ჰამლეტს მიუწერია ოფელიასთან?

პოლონი.

ყურადღება, კეთილშობილო, საქმე გვიჩვენებს.

«ნუ დაიჯერებ, რომ ცეცხლი ვარსკვლავებში შრიალებს, ნუ ირწმუნებ მზის მოძრაობასა, ნურცა გრწამს, რო სიმართლე ჭეშმარიტებაში იმყოფება, მაგრამ ჩემ სიყვარულ-ზედ ეჭვი ნუ გექმნება.

«საყვარელო ოფელია! ამ ტრიქონებმა განმი-მწავლეს ნაძვილი. მე არ შემიძლიან მშვენიერად გიამბო ჩემნი ოხვრანი, მაგრამ მიყვარხარ შენ, ძალიან მიყვარხარ. მშვიდობით. მარადის შენი ვარ, განსვენებით პატივცემულო ქალწულო, მანამ სული მიდგას — ჰამლეტი.

ქალი ჩემი დამემორჩილა და ეს მიჩვენა; სულ მიამბო, რაცკი უთქვამს მისთვის ჰამლეტსა, სიტყვის

მოქცევაც, ადგილი, დრო-ყველა გამიმართა.

კოროლი.

ოფელიას-და როგორ მიუღია სიყუარული ჰამლეტისა?

პოლონი.

მე როგორ მიცნობთ?

კოროლი.

პატივცემულ, სარწმუნო კაცად.

პოლონი.

მე მაგას დავამტკიცებ. რას იტყოდით თქუენ, თუ რომ მე ეს სიყუარული მიმეღო (მანამ ჩემი ქალი გიამბობდა, მე მიხვედრილი ვიყავ ამ სიყუარულს), რას იტყოდით თქუენ, კოროლო, და თქუენ დედოფალო ჩემო, ჴელმწიფეო, თუ რომ მე ეს საქმე დამე-ტევებინა, როგორათაც შეურაცხი, ფუჭი ნივთი, ანუ გულგრილად გამეგონა ამბავი ამა-ზე-რას იტყოდით თქუენ? არა! მე პირდაპირ, აი ესე დაუწყე ჩემს ქალს სიტყუა; «პრინცი ჰამლეტი შენი წყვილი არ არის, და ესე სიცრუეა.» და მივეც ოფელიას დარიგება, რომ თავი არ მიანებოს პრინცის სიყუარულსა, არ მიიღოს მისგან საჩუქრები, წიგნები უკანვე გაუგზავნოს. ოფელიამ აღასრულა ესე წმინდად და-ნაყოფი ოფელიის საქციელისა იყო (შევამოკლებ სიტყუას)... პრინცი იყო უგულვებელს ყოფილი, შეიქმნა მწუხარე, მერე იტანჯა, არ ჰძინა დასუსტდა, გასულელდა, იცელქა, უკანასკნელ გაგიჟდა, და ჩუენ ყოველნი შეგვაწუხა.

კოროლი.

ნუ თუ ეგე ნამდვილია?

დედოფალი.

რატომ, ადვილად მოხდება.

პოლონი.

განა კი მომხდარა ოდესმე; — გიხოვთ გამამტყუნოთ-მეთქჳას, რომ ეს ესე-ა, და გამოსულ იყოს — არა?

კოროლი.

არა, რავდენიც მახსოვს.

პოლონი, უჩვენებს თავზე და მხრებზედ.

ამართვით აი ეს, თუ ე'ლაც ესე არ იყოს. და თუ რომ მცირედ მაინც შემეწეოდეთ, მე ვიპოვი ჭეშმარიტებასა, დედამიწაშიაც რო დაჰფლათ

კოროლი.

მაგრამ რა ღონის-ძიება-ა?

პოლონი.

თქჳენ იცით, რომ ხან-და-ხან ოთხ საათს დასეირნებს ხოლმე აქ სასახლის ტალავარში ჰამლეტი.

დედოფალი.

სწორედ ეგრე-ა.

პოლონი.

აი მაშინ მე გამოვიყვან ჩემ ქალს. ჩჳენ აქ ხალიჩების იქით მივეფარნეთ, ყური დავუგდოთ; თუ ჰამლეტს ოფელია არ უყვარდეს, და თუ არა ოფელიამ მოსტაცა მას ჭკუა-ადარ-და ვიქნები თქჳენი სადღუმდო მრჩეველი. დაეხსნენ ვიყო მეჯინიბე, მწყემსი საქონლისა...

კოროლი.

რაღა? მე თანახმა ვარ. (ჰამლეტი შემოდის კითხვით.)

დედოფალი.

უყურეთ: აი ჰამლეტი მოდის, რაღასაც კითხულობს — როგორ დაღონებულია!

პოლონი.

განშორდით ჩქარა, ორნივე — მე დავიწყებ ჩემ საქმეს — ნება მეცით მხოლოდ...

(კოროლი და დედოფალი მიდიან.)

პოლონი.

როგორ მშვიდობით ბრძანდებით, საყვარელო პრინცო?

ჰამლეტი.

მადლობა ღმერთსა! კარგათ ვარ.

პოლონი.

მიცნობ მე, პრინცო?

ჰამლეტი.

ძალიან გიცნობ: შენ ხარ მეთევზე. (*)

პოლონი.

არა! პრინცო.

ჰამლეტი.

მაშ თუ ეგრე არ არის, მე მსურს, რათა იყო ეგრეთივე პატიოსანი.

პოლონი.

ეგრეთივე პატიოსანი, პრინცო?

ჰამლეტი.

დიახ, ვინც არის ამ სოფელში პატიოსანი, ნაშ-

(*) ახალი თევზის მონადირე.

ნავს, იგი გამორჩეულად ათი ათასთაგან.

პოლონი.

ნამდვილი მართალია, პრინცო!

ჰამლეტი.

ჵ თუ თჳთ მზე ჩასახავს მატლებს გადამდრმჭვალ ძაღლში... ჰო, შენ გყავს ქალი?

პოლონი.

მყავს, პრინცო.

ჰამლეტი.

უბრძანე არ იაროს მზეზე, ამისთჳს რომ თუმცა ნაყოფიერება ნიშნავს კურთხევასა, მაგრამკი თუ ესე შეეხო ქალსა შენსა — დაიცვე იგი, მეგობარო!

პოლონი.

რა გნებავსთ სთქვათ, პრინცო! (იქით.) სულ ჩემი ქალია არ ახსოვს! პირველად ვერ მიცნა — მითხრა, რომ მე მეთევზე ვარ. რა წარამართობაა! უმაწვილობას თჳთ მეც ვიყავ გაგიჟებით შეყვარებული, თითქმის ესრეთვე ვიყავ გასულელებული. დაველაპარაკო კიდევ (ხმა მაღლა.) რასა კითხულობთ პრინცო?

ჰამლეტი.

სიტყვებსა, სიტყვებსა, სიტყვებსა!

პოლონი.

რა მი შეხლდება საქმე, პრინცო?

ჰამლეტი.

აქ საქმე არ არის.

პოლონი.

მე ვამბობ, ესე იგი, რა საქმე შეხდგება მაგ წიგნის სიტყვებ-ში?

ჰამლეტი.

ცილის წამებაა! წყეული დამცინებელი მოხუცზედ სწერს, რომ მოხუცებულთ აქვსთო გათეთრებული თმა, დამჭკნარი პირისახე, თუალი ვერ უჭრისთო, თავში მგოვდენი სისუსტე აქვსთო. რავდენი ფერხებში. ყოველივე ეს მართალია, მაგრამ არ უნდა დაეწერა, ამიტომ რომ, თჳთ შენ იფიქრე: შეიძლება შეიქმნა შენც ეგრეთვე მოხუცებული, როგორათაც მე ეხლა ვარ, თუ რო. კიბოსაებრ, უკან დაიწყე გზასა ზედა სიცოცხლისასა.

პოლონი, იქით.

სულელური სიტყუებია, მაგრამ ამ სიტყუებში აზრის რაღაც რამ წესიერებს. (ხმა მაღლა.) ხომ არ წამოხვალთ, პრინცო, სადმე სასეირნოთ.

ჰამლეტი.

სადა? საფლავში?

პოლონი.

ეს, ეგ იქნება ნამდვილად გასეირნობა. (იქით) როგორ მარჯვეთ მოწყვეტს სიტყვას! გიჟები ხანდახან ამისთანებზედ ლაპარაკობენ ესრეთ მარჯვეთ, რომ გონიერიც ვერ მოიფიქრებს. დავუტევოთ ეს და წავიდეთ მოვახერხოთ ამისი შეხვედრა ჩემ ქალთან (ხმა მაღლა.). უგანათლებულესო პრინცო! ნება დამრთეთ მივიღო გამბედაობა — გამოგეთხოვოთ.

ჰამლეტი.

ყოველისაგან, რაიცა თქვენ შეგიძლიანთ მიიღოთ ჩემგან, მე არას დავითმობ თქვენ ესრეთ გულ-მოდგინედ, როგორათაც ჩემს სიცოცხლეს, ჩემს სი-

ცოცხლეს, ჩემს სიცოცხლეს!

პოლონი.

მშვიდობით, პრინცო!

ჰამლეტი.

ბებერი, სულელი უბედი! (როზენკრანცი და გილდენშტერნი გამოდიან.)

პოლონი.

თქვენ გნებავსთ ნახოთ პრინცი? აი პრინცი!

როზენკრანცი.

გმადლობთ. (პოლონი მიდის.)

გილდენშტერნი.

უპატიოსნესო...

როზენკრანცი.

უსაყვარელესო...

ჰამლეტი.

უტკბილესნო მეგობარნო! როგორ ხარ, გილდენშტერნო? რაო ტკბილო როზენკრანცო? ღმერთი როგორ გწყალობსთ.

როზენკრანცი.

ჩვენ რა მოგვივა, პრინცო, შეურაცხთა კაცთა!

გილდენშტერნი.

რომელნიცა ვართ მით კიდეც ბედნიერნი, რომ არა გჰფიქრობთ უმეტეს ბედნიერებაზე.

ჰამლეტი.

ასე, რომ თუ ბედნიერება პანდურსა გცემსთ, ისიც კი კარგია?

როზენკრანცი.

ეგ კი არაფერია, პრინცო.

მაშ თქუენ დგეხართ ნივთთა საშუალობასა? ძალი-ან კარგი, მაგრამ ფორტუნა (*) არის უკარგისი დედაკაცი — ჰო, რა არის ახალი ამბავი, უფალნო?

როზენკრანცი.

არაფერი, პრინცო, გარდა მისა, რომ სოფელი თან-და-თან უკეთესდება.

ჰამლეტი.

მარიდა? რა დამართებაა, განა სოფელი გაგიჟე-ბულა? — ბარემც, მითხარით: რა აწყენით თქუენ ფორ-ტუნასა, რომ გაგზავნათ საპყრობილეში?

გილდენშტერნი.

საპყრობილე-ში, პრინცო?

ჰამლეტი.

დიახ. დანია არის ხომ საპყრობილე.

როზენკრანცი.

მაშასადამე, მთელი სოფელი არის საპყრობილე?

ჰამლეტი.

რასაკჳრველია, სოფელი არის საპყრობილე, და-ყოფილი სხვა-და-სხვა გაკლებულ კედლებათა და გან-ყოფილებითა. დანია თჳთ უსაძაგელესი ნაწილი-ა.

როზენკრანცი.

მაგაზე თანახმა არა ვარ, პრინცო.

ჰამლეტი.

იქმნება თქუენ ეგრე გჩანსთ; ყოველი ჰფიქრობს თავისებრ კეთილ-ზე და ცუდ-ზე; ჩემებრ — სოფელი საპყრობილე-ა!

(*) ფორტუნა — ბედი, სიმდიდრე. 11 გვ.

როზენკრანცი.

იქმნება, სოფელი ვიწრო-ა თქუენის დიდის სულისთჳს, და იმიტომ გგონიათ საპყრობილედ.

ჰამლეტი

ოჰ ღმერთო ჩემო! ჩემი დიდი სული დაეტეოდამცა კაკლის ნაჭუჭში, და მე ჩემს თავს უწოდებდი მეუფედ უსაზღვრო სივრცისა; მაგრამ მე ვხედავ ცუდ სიზმრებსა, ესრეთ ცუდ სიზმრებსა..

გილდენშტერნი.

უეჭუელად, ეგ სიზმრები არის პატივის მოყუარეობისა, ამიტომ რომ პატივის-მოყუარე სდევნის სიზმრის ოცნებასა.

ჰამლეტი.

სიზმარი ოცნებაა, განა?

როზენკრანცი.

უეჭველად, და ამიტომ მე მგონია, რომ პატივის-მოყუარე სდევნის სიზმრის ოცნებასა.

ჰამლეტი.

მართლა? მაშასადამე, ჩუენნი ზარმაცნი გლეხნი სცხოვრებენ ნამდვილობაში, დიდნი კაცნი-და ოცნება-ში? მე როგორც დღეს გავსულელდი-არ გინდათ წავიდეთ კოროლთან?

როზენკრანცი და გილდენშტერნი.

ჩუენ სურვილით ვიქმნებით თქუენნი ამხანაგნი.

ჰამლეტი.

სისულელე-ში? ოჰ, არა, უფალნო! უთქუენოთაც მყუანან დუნდგო მაგისთანა ამხანაგნი. და თითქმის მასიამოვნებელნიცა. სწორეთ გსთქუა, სისრულე არის

ამფი ფასის ფული ჩუენ კარზე. მაგრამ თქუენ რათა ხართ ელსენორაში?

როზენკრანცი.

გვსურდა თქუენი ნახუა, პრინცო.

ჰამლეტი.

მე ვარ საწყალი მადლობაზე, გლახაკი, მაგრამ გმადლობთ თქუენ, მეგობარნო ჩემნო, და რასაკვირველია. მადლობა ჩემი ერთ გროშათ, მაინც, ღირს რათ. თქუენ გამოგზავნილნი ხართ ჩემთან? ანუ თქუენის ნებით მოხველით? მითხარით გულწრფელად. მითხარით!

გილდენშტერნი.

რას გვიბრძანებთ, პრინცო.

ჰამლეტი.

უოველსავე, რაცა თქუენ გნებავსთ, მხოლოთ ეგ არ არის პასუხი ჩემ კითხვაზე. მე თქუენმაგიერ შემრცხვება. თქუენ იუურებით ესრეთ, სიტყუით-კი სხუას იტყვით. მე ვიცი-კეთილმა კოროლმა და დედოფალმა მოგვზავნესთ თქუენ.

როზენკრანცი.

რისათვის, პრინცო?

ჰამლეტი.

ეგ თქუენ უნდა იცოდეთ. მაგრამ მე გაფიცებ თქუენ ჩუენის ამხანაგობითა, ჩუენის საუმაწვილის მეგობრობითა, მოუწყვეტელის ჩუენის სიუუარულითა და უოველითავე, რასაცკი რიტორიკა მოიფიქრებს უკეთესსა, სწორეთ მითხარით: თქუენ მოგზავნილნი ხართ ჩემთან? ჰე, თუ არა?

როზენკრანცი, გილდენშტერნსა.
რა უთხრათ ამას?

ჰამლეტი, იქით.

მე საშუალ გჭვრეტავ თქუენ! (ხმა მაღლა.) თუ გიყუარვართ ტყუილს ნუ იტყვით.

გილდენშტერნი.

პრინცო! ჩუენ მოგზავნილნი ვართ.

ჰამლეტი.

მე კი გეტყვით თქუენ რასათჳს. ჩემი განმარტება გიხსნით თქუენ სწორე თქმისაგან, და არცა ერთის თმის ოდენ არ გაგხდის თქუენ მოტარტარედ. ახლო ხანს, არ ვიცი რა მიზეზისაგან, დავკარგე სამხიარულე. მე დავტევე უოველი ჩემი საქმე, და ესრეთ ვარ ნაღვლიანად, რომ დედამიწა მჩანს ტალახის ნაჭრად და ცა, ეს ზეცა დიდებულება ცისა, მისის ოქროს ვარსკულავებითურთ-ხროვმდ სენ შესაყარ ოშხივართა. როგორის დიდებულებას გამოაჩენს კაცი თავის თჳსით როგორი კეთილშობილება-ა მისას გონებაში, დაუსრულებლობა მის სულის ძალაში, სამშვენიერე მის ფორმებში-ეს არის სული ზეციერი, სამკაული სოფლისა, ნიმუში დანაშოქენის ბუნებისა!... ჩემთჳსდა, რა არის ეს ესსენცია ტალახისა?... მე არ მიყუარს კაცი — დედაკაცი უფრო უმეტეს! რას იცინით! მართლად, ესეა!

როზენკრანცი.

მე არა მრწამს, პრინცო.

ჰამლეტი.

რა არის აქ სასაცილო, თუ მე არ მიყუარს კაცი?

როზენკრანცი.

თუ არ გიყვარსთ, მაშ ცუდად მიიღებთ კამედიის წარმომადგინებელთა, რომელნიცა შეგვხვდნენ ჩვენ გზა-ზე. იმათ სურდათ ესიამოვნებინეთ თქვენ.

ჰამლეტი.

მითომ რატომ. წარმომადგინებელი კოროლთა-მობრძანდეს; მხა ვარ ვექსახური, და მოგზაური რიცარი დაეხსენი გამოცხადდეს თვისის ხმლით ფარით; მიჯნური არ იოხრებს უბრალოდ: მასხარა თავის ადგილს დაიჭერს; ჭკვიანნი ისულელებენ სულელი-საგან, და კნიაჟნა ცხადად აღვიარებს თვის სიყვარუ-ლსა ლექსებ-ში. ვინ არიან ეს კამედიის წარმომა-დგენელნი?

როზენკრანცი.

იგინივე, პრინცო, რომელნიცა ოდესმე თქვენ მოგ-წონდათ, და იქმნებიან დიახ მოხარულნი, თუ რო ეხლაც მოეწონებიან.

ჰამლეტი.

მითომ რატომ? აქ ჯერ კიდევ არ იქმნება ესრეთი სასწაული, როგორიცა შემთხვა ბიძა ჩემს, აწინდელს დანიის კოროლსა: იგინი, რომელნიცა არარად სთვლიდნენ მას, მამისა ჩემისა სიცოცხლის დროს, ყიდულობენ ეხლა მის პატრეტს და აძლევენ პატარა პატრეტში 10 ა. 20 ა, 40 დუკატსა(*) აქ უნდა რო ფილოსოფია ეცადოს, გამოარჩიოს: რისაგან დიდდებიან პატარა კაცნი, ოდესაც დიდნი გარდა-

(*) დუკატი არის ოქრო.

იცჳალებიან. (ისმის ხმა საყვირისა.)

გილდენშტერნი.

აჰა კამედიის წარმომადგენელნიცა!

ჰამლეტი.

ჰა, უფალნო, მშჳდობა თქუენი ნახვა! მამეცით ხელი—აჰა, აზა! ალერსიანობა დაიწყება მოკითხვით. მოდი ჯერ თქუენთან ვისწავლი როგორ უნდა მივიღო წარმომადგინებელნი, რათა არა სთქუან შემდგომ, ვითომც მე ვიყო მეტად თავაზიანი ესრეთ კაცებთან, რომელნიცა შორს არიან თქუენზე (ხარისხით)-უფალნო! მაგრამ—ჩემი ბიძა-მამა და ჩემი დედა-მალუა ძალიან სცთებიან.

გილდენშტერნი.

რა-ში, პრინცო?

ჰამლეტი.

მათ არ იციან, რომ მე ვარ მხოლოდ გიჟი, ოდესაც ჰბერავს ქარი ჩრდილოეთ-დასავლეთით, ოდესღა არის ქარი სამხრეთით, მაშინ მე არ მივი-ღებ სანთელს მჭედ.

პოლონი, გამოდის.

გაძღეგრძელოსთ, უფალნო!

ჰამლეტი.

გამიგონე, გილდენშტერნო, და შენც როზენკრანცო—თჳთო ყურ-ზე თჳთო მსმენელი-ეს ჰასაკოვანი ბავ-შვი, რომელსაცა თქუენ ხედავთ, კიდევაც არ ამდ-გარა აკვნიდგან.

როზენკრანცი.

იქმნება, კიდევ ჩაწუა აკვან-ში; იტყვიან, ვითომც

სიზერე არის უკუნმოქცევა სიურმისადმი.

ჰამლეტი.

შეხედეთ ეს მოსულა გვაუწყოს კამედიის დასაწყისზე... და ესრეთ, ეს იყო, ამბობთ თქუენ, ორშაბათს დილით.—

პოლონი.

პრინცო! მე მოვიტანე ახალი ამბავი.

ჰამლეტი.

მეც შემიძლიან გიამბო თქუენ მრავალი ახალი ამბავი. ოდეს რომ-ში იყო დიდი აქტიორი როსციური...

პოლონი.

ჩუენთან მოვიდნენ კამედიის წარმომადგენელნი.

ჰამლეტი.

იქმნება?

პოლონი.

გარწმუნებთ, მართლა.

ჰამლეტი.

ჯორებ-ზე ახალგაზდანი,
მაჯენებენ მგალობელნი....

პოლონი.

საკვირველნი აქტიორნი არიან! ტრაგედიისათჳს, კომედიისათჳს, ისტორიულ პასტორალთათჳს.(*) კომიკურთა პასტორალთათჳს, ისტორიის პასტორალთათჳს, ისტორიკულ ტრაგედიისათჳს, ტრაგედიი-კომედიისა-

(*) პასტორალი არის სოფლის მუზიკური თხზულება, რომელიცა გამოსახავს მწყემსთ სიმღერასა და ხასიათსა.

თჳს, დრამისათჳს სამის ერთობითურთ, და პოემათა-თჳს თჳნიერ ყოვლისა ერთობისა. არა აქუსთ სამწუხარო სენეკას, მესაქცევი პლავტსა, კანონიერ გჳარად, უკანონო გჳარად, რაჲცა მათ არ წარმო-ადგინონ.

ჰამლეტი.

ჵი საკჳრველი საკჳრველება-ა,
და განსაოცარი განსაოცრება-ა!
რა საუნჯესა ჰფლობ შენ!

პოლონი.

რა საუნჯესა?

ჰამლეტი.

რასა?
ქალი გყავს შენ მშვენიერი,
და იცი მის სიყუარული!

პოლონი, იქით.

სულ ჩემი ქალი არ ახსოვს!

ჰამლეტი.

განა განსაოცარი განსაოცრება-ა?

პოლონი.

თუ რომ მიწოდებთ საკჳრველებად, მე ნამდვილად მყავს ქალი, რომელიცა ძალიან მიყუარს.

ჰამლეტი.

ერთი მეორისაგან არ გამოდის.

პოლონი.

მაშ რა გამოდის, პრინცო?

ჰამლეტი.

რა?

ქაცი წინათ — განიზრახავს,
ჲ განგება კი განჰკარგავს!
ჲ ამისთჳსცა, განა შენ არ იცი;
რაცა უნდა მოხდეს,
მას ვერვინ ასცდების.

შემდგომად... აჰა, ბარემც — გამოჩნდა თავით თჳსით დასასრული სიტყვისა.

(გამოდიან რამდენიმე აკტიორები.)

მშვიდობა თქუენი ნახვა, მშვიდობა თქუენი ნახვა, უფალნო; დიდად მოხარული ვარ, რომ გხედავთ თქუენ! გადიდკაცებულხარ მეგობარნო: ჩემო! ეგ მკვდარ მეგობარო, რაც ჩქუენ ერთმანეთი არ განგვინახავს. წვერი მოგიზრდია! ჲ შენ მეგობარო რომელსაცა. ხმა მიგიგავს შემოჭრილ ოქროს წკარანსა, როგორც ხარ, ჲ რადგან გვიკვიანებთ — შევუდგეთ საქმესა! როგორცათაც მონადირენი მოკლავთ პირველ ნადირი, რომელიცა შეგხვდებს. ჩქარა-გამოაჩინეთ ნიმუში თქუენის ნიჭიერებისა, თქვთ რომელიმე გაშმაგებული მონოლოგი. (*)

1-ი აკტიორი.

რას გვიბრძანებთ, პრინცო.

ჰამლეტი.

გახსოვს, შენ რო წაიკითხე, რა იყო ის, იყო თუ არა ნათამაშევი, არ მახსოვს — ვიდრეც რო უკე-ლას არ მოსწონდა, მაგრამ მისთჳს ერთნი აქებდენ, სხუანი დანძღავდენ. ერთნი ამბობდენ, რომ აქ არი-სო ფუჭი უპაზრო სიტყუები, სხუანი და ჰპოვებდენ

(*) მონოლოგი-თავისათჳსისათანა უბნობა.

მეტის-მეტ მრავალსა პაზრსა: ერთის ჰსოქეწს, ეს არისო ქმნილება წარჩინებულისა გემოვნებისა, სრული იდეებითა მრთელ განსჯულთა, ნამდვილთა, საამოვნოთა. გამოჩინებულთა; სხუათაგი.. აი კიდევ აქ მე განსაკუთრებით მიიწონდა ამბავი ენისა დიდონისადმი, და ყველა-ზე უმეტესად, ოდეს ენეა უამბობს პრიამის სიკუდილსა. თუ გახსოვს, დაიწყე ამ ლექსებით:

«და პირრი, მძლევარკარე, თითქოს გირკნის ლომი...
მგონია, ესე არარის, მახსოვსკი იწყება პირრით...
«და პირრი, სქვალიან აბჯარ მოსილი,
გამოვიდა ცხენის მკერთაგან მძლევარკარი,
საშურ-უწლით ქუხს, ჰვარავს და შავსა პაზრსა,
ქვეშე ბნელისა ცისა სახელავისა.
მოწუწვილა თბილის სისხლით საწყალ მსხვერპლთა;
მაზე ჰბოლავს სისხლი დედათა უბედურთა,
საცოდავთა ცოლთა, შვილთა და მამათა,
მათთა მეთა და ასულთა შავ-ხვიანთა.
ესრეთ ტროის ცეცხლის კიდეა არ ელვარებს,
როგორათ მის მძვინვარებით სახე იწვის.
როგორათაც ჯოჯოხეთის ცეცხლი, პირრი,
ესრეთ მკვრცხლად მიჰფრინავს ქმნად ბოროტისა
და სიკუდილსა უქადის მნელსა პრიამსა...
განაგრძე შენ!

პოლონი.

ჩინებულია, პრინცო! ხელოვნობით, გრძნობით წაიკითხე.

აკტიორი. (განაგრძობს.)

და აჰა პირრი, შეჰყურის და პრიამსა,
მოხუცის ულვაშთა ხმლით თვისით მთრთოლვითა,
ილიონის სრულს ცეცხლით დამბუგვავითა;
და ხელთაგან სიმძიმითა თვისითა
მიეტაცა მახვილი, და, დადგა პირრი გზაზე,
მიისწრაფება უთანასწორ ბრძოლა-ზე
ერთის დაკვრით პრიამ დაეცა ობოლი,
და-დაეცა ილიონიც სრულად მრთელი.
შედგა პირრი, დაიმშვიდა რისხვა თვისი,
და სიკვდილს მზადყოფს უძლის განადგოს პირსა.
შეაყენა ხმალი — ესრეთ ქარიშხალი,
რათ, ვითომც, შეწყალოს შეიობანი ცისკნი,
ერთსა წამსა, დააწყნარებს თვის ქვითინსა,
რათ ახლად იქუხოს დასანთქმელ ჭექითა...
— არა! არას დროს ეწესტი თვს სანგით,
ესრეთ საშინლად არ სცემდა, როგორათ
პირრის ხმალი ჰსწყდავს აქ პრიამს უბედურსა...

პოლონი.

ეგ ძალიან გრძელია.

ჰამლეტი.

შენმა დალაქმა ეგეცა მოჰხრა მე შენს წვერა-ზე. განაგრძე-ეს ხომ ეხლავ დაიძინებს... ჰო-გადავიდეთ ჰეკუბასთან.

აკტიორი, განაგრძობს.

«თუ რო გენახა გაწეწილი ჰეკუბა...

ჰამლეტი.

რა? «გაწეწილი ჰეკუბა?»

პოლონი.

ჰო, მართლა — ეგ კარგი იქმნება მითომ? მაგრამ რა უშავს, ეგ ხომ ითქმის გაწეწილ თმიან-ზე! კარგია, მშვენიერია!

აქტიორი, განაგრძობს.

«მკვენესავი, მტირალი, ღრმად ჭირის მფარავი,
იტყოდიმცა, რომ მდუღარ მის ცრემლთ მდინარი
ილიონის მრთელ ცეცხლთ ქმლთ წამს გარობა.
ოდესმე გვირგვინი ამკობდა იმ შუბლსა,
რა-ზე ხედავ ძველ თავ საფარვის ნაკუწსა —
ქსოვენ დამცრობილ არს სხვა გვერდისა.
მის ბაგეთგან მდინარებს ძვარი წვეთისა
თვისის შემამე სხეულ-ზე და ბედის ღალატ-ზე,
ყოველ ჭირთ მიზეზ, მზაკვარ ელენა-ზე,
და თუ ღმერთთ ქმლოთ ხილვა იმ მწარის წამისა,
ოდეს პირრომა გულს უგმირა პრიამს ხმალი,
მწარ ცრემლით აღივსებოდა მათიც თვალი,
გეკუბის ჭირნიც მოსწყლებოდნენ მათითა...

პოლონი.

უყურეთ, როგორ ცხელის გრძნობით კითხულობს, ცრემლი გადმოსცვივდა, ფერი ჰკრთა... საკმაოა, საკმაოა!

ჰამლეტი.

კარგი, მერმე დამისრულებ. საყვარელო პოლონი! თუ რო შეიძლებოდეს კარგა უპასპინძლე ამათ. ხომ იცი, ესენი არიან სარკე მისა, რასაცა ჩვენ ვჰყოფთ, და, მართლად, ამათი. ქება სიცოცხლის დროს

ღირს ცუდს ეპიტაფიასა. (*) რომელსაცა წარაწე-რენ შენს საფლავზე.

ჰორაციო.

მე დაუხვდები მესაჰამ მაგათ ღირსებისა, პრინცო!

ჰამლეტი.

ოჰ, რა! უკეთესად, უკეთესად, ვიდრე რასაც ესენი ღირან. თუ რო ყველას დაუხვდით ღირსე-ბისამებრ, რავდენიღა დაითმენა ისეთი, რომელიცა არა ღირს კარგის სილასა? არა, არა! დაუხვდი ამათ ზომისაებრ შენის დიდებულობისა და გულუ-ხვობისა.

ჰორაციო.

წავიდეთ, უფალნო.

ჰამლეტი.

წადით, მეგობარნო ჩემნო, და მოემზადენით სა-თამაშოდ კამედიისა. ჰო, ძველო მეგობარო, შეგი-ძლიან წარმოვიდგინო საკვდილი გონზაგოსი?

აკტიორი.

შეგვიძლიან, პრინცო.

ჰამლეტი.

კარგი, წარმოადგინეთ ეგ კომედია. ათიოდეოდე მცირე ლექსები ჩემი ხომ შეიძლება ჩაურთოთ?

აკტიორი.

შეიძლება, პრინცო.

ჰამლეტი.

ძალიან კარგი, გაჰყევით ამ უფალსა, მაგრამ

(*) ეპიტაფია — საფლავზე წარწერა.

სასაცილოთ კი არ გაჰხადოთ! (შიოლონი და აკტიო-
ორები შიდიან.) მეგობარნო ჩემნო, როზენკრანცო
და გილდენშტერნო! მეორეჯ ნახვამდე! მოხარული
ვარ, რომ, გნახეთ თქვენ ელსინორში.

როზენკრანცი გილდენშტერნი.

მშვიდობით, პრინცო. (შიდიან.)

ჰამლეტი. მარტო.

ღმერთმა გვიშველოსთ! მარტო ვარ ეხლა...
რა საცოდავი ქმნილება ვარ! კომედიის წარმომად-
გენელი. მესაბრალისი მოჯამაგირე. გამომეთქომს
რა გულის-თქმათა, და ცუდ ლექსებში, სტირის.
უგონოდება, კანკალებს, თრთის... რათა? და რა
მიზეზით? უბრალო მოგონებულობა! ვიღაცა ჰეკუბა
რა არის მისი ჰეკუბა? გული რათ სტკივა მისთვის,
რათ სტირის, გრძნობს, როგორათაც ჰეკუბა?
მაშინ რაღა იქმნებოდა, თუ რო ჰქონებოდა მას
ჩემებრივე მიზეზი ჩემის გრძნობისა, რომელიცა მე
მაქუს ვგონებ აატირებდა მთელს თეატრსა, და
მტკიცალით დაფლეთავდა სმენასა, ბოროტმოქმედებას
შეაძრწუნებდა, და მაყურებელთ გაუყინავდა ძარღვებში
სისხლსა. მე? მე ვარ საცოდავი, შეურაცხი, უგრ-
ძნობარი კაცი — მე ვსდუმ, ვსდუმარებ, ოდეს ვიცი
რომ ბოროტმოქმედებამ დანთქა სიცოცხლე და მე-
ფობა დიდისა მფლობელისა — მამისა! ანუ მე ვარ
მხდალი? ვის შეუძლიან სიტყვით მაწყინოს, ანუ
მამაყენოს წყენა, უმისოთ, რომ წყენისათვის თავს
არ ვიდევა, არ გავფლითო მაწყენი, და არ მიუგდო
ლეში მისი ყორანთა გასაგლეჯათ? და რაღა? უფრო

ჩხმულსა გარყვნილებისასა და მკვლელსა გზელდავ მე, თჳთ ჯოჯოხეთი მიწვევს მე შურის-მიებად, მე-კი უნაყოფოდ დავსთხევ მრისხანებასა სატუყშბში, და ის უვნებელია — ის, ოდესიც მე ცოცხალ ვარ, მე. შჳლი მოკლულის მამისა, მოწამე დედის გაუპატიურობისა!.. ჵ ჰამლეტო, ჰამლეტო! გრცხვენოდეს!...

ვიფიქროთ: შემიტყუვია, რომ ბიწი და ბოროტ-მოქმედება, იხილვენ რა საშინელსა თჳსსა სახესა ჭთამაშობაში დახელოვნებულისა ხელოსნისა, უნებურად გამოსთქუამენ თჳსსა სირცხვილსა და შეიგნებენ ბოროტმოქმედებასა. დიახ, უენოთ, უსიტყუოთ, ყოვლივე იქმნება ცხადი. ამ აკტიორებთა წარმოვადგენინებ საშინელსა მკჳლელობასა, მზგავსსა ბიძი-ჩემის ბოროტმოქმედებისასა, და უურს-უგდებ-თუ რო შეშფოთდა იგი, მაშინ მე ვიცი, რაც უნ-და ვჰქმნა! იქმნება ჩვენება იგი იყო ოცნება, მზაკუარება ბნელისა სულისა? ბნელ სულს შეუძლიან სხუა-და-სხუა სახით გამოცხადდეს. იქმნება კიდეც იგი მიმიზიდავს ქმნად ცოდვისა, და სულსა ჩემსა საიჭუოსა და სუსტსა ხმარობს ბადედ დასანთქავად სულისა? მოვერიდები, და, დაეხსენ, ხერხიანობამ ჩემმა გამოაჩინოს სჳნიდისი კოროლისა!

---

დასასრული მეორისა მოქმედებისა.

## სამწუხარო ამბავი.

შეგვიძლიან გაბედვითა ვსთქუათ, რომ «ცისკრის» რედაქცია შეიმსჭვალა წარსულს თვეში მწუხარებითა, რა მოაკლდა მას იმ გუარი თანამშრომელი, რომელიცა განამშვენებდა ჩუენს ქართულს ლიტერატურასა, თავისის მეცადინეობით და მწერლობით: მაისის 26-ს, შუადღითგან 5 საათზედ გარდაიცვალა თვით უმცირეს ჟამში, გარნა სასტიკ სნეულებით, თანამედროვე მწერალი ჩუენი, ორმეოც და ათ-თორმეტის წლის მქონე თავადი ალექსანდრე ჩიქოვანი. რომელთაცა წარუკითხავთ განსვენებულის ლექსები: «ვედრება» «ნუგეში გულისადმი» დროება საუკუნისადმი და სხ. სარწმუნო ვართ განიყოფენ ისინიცა ჩუენთან მწუხარებასა.

---

რედ.

### თ. ალ. ჩიქოვანის გარდაცვალებაზე.

---

გმინავს მწერალო? ახ, ვეღარ გჭვრეტ შენ მომცონარეს!
რად გვაფრქვევინებ შენთ მოძმეთა ამდენთ ცრემლთ მწარეს?
თითქოს გიყვარდენ შენნი ძენნი, ვინ არან ბრალი,
თუ ვსთქუათ ვიფიქრო, რომ ჩუენთან ხარ შენ შემომწყრალი!..
და, მოვედი ჩვეულებრივ მე შენსა სახლსა,

სად მაჩვენებდი გრძნობით ნაწერს შენგნით ახალსა.
გარნა ვაჲმე! რასა ვხედავ? ვხედავ ხარ მკვდარი,
სიმნი გასწყდარან და დუმილით გვერდს გიძევს ქნარი!
რად არ მომალხენ ადრინდელებრ, ტკბილ ჩანგის
დაკვრითა.
რომლით შემქმნილი იყო ქარსა შინა ზოგჯერ თავ-დასხმა!
გუშინ არ იყო ტურფად უკრავდი გემერა ჩოგანი,
და ჩვეულებრ ტკბილის საუბრით იყავ ხმოვანი?
აწ რა გაწყინეთ დღეს ესრეთი, რომ არ გვცემ ხმასა,
არც ესაუბრი შენს გარს მყოფთა მუზთა კრებასა?
ნუ თუ მისთჳს რომ დაგდუმებიეს მატყუველი ენა,
თვალნი დაგიხშვიან, მოკლებიესთ შენთ ყურთა სმენა!
მაგრამ მიგიხვდი! ამ წუთის სოფელს არად ესავდი,
ადრევე მესმოდა მე შენგნით რომ ჩალად სახავდი.
მისთჳს დასტოვე უოკვლივე, განშორდი ტომთა,
და შეუერთდი შენთ მგულეთ ივერთ ზეცაში მყოფთა.
ეს მაინც მიქმენ საყვარელო ჩემო მწერალო!
ჩუენთა კრებათა ცალკე მყოფთა რა მიესალმო,
და რა იხილო მათთა შორის უმანკო სული,
რომელმანცა თან წარმიტაცა სული და გული,
უთხარ, უამბო, ჩემთა თვალთგან ნაკადთ დინება,
ურვა, ოხვრა და მოთქმა, ვაება და მოთმინება,
მაგრამ ვისა ვთხოვ? რომ არ გესმის ნათქვამი ჩემი,
დაგიკრეფიეს გულსა ზედან მხოლოდ ჴელნი!
მაშა მივმართავ საზოგადოს მამას ზენასა,
და ვთხოვ მას გრძნობით მე შენსასა განსვენებასა.

ივ. კერესელიძე.

27 მაისს.
1858 წ.
ქ. ტფილისს.

სხუა და სხუა ანბავი:
სამწუხარო ანბავი. . . . . . . . რედ.

თ. ალ ჩიქოვანის გარდაცვა-

ლებაზე. . . . . . . . . . . კერესელიძისა.

«ცისკარი.» 1858 წლისა გამოიცემა პირველს რიცხვს ყოველის თვისას წიგნი ჯ წიგნი, ხუთის ფურცლიდამ ოცამდინ.

---

## ფასი ერთის წლის გამოცემისა:

ქ. ტფილისში, გაუგზავნელად ექვსი მანეთი თეთრი ფული.

შინ მიწოდებით, ანუ სხვა ადგილებში გაგზავნით: შვიდი მანეთი თეთრი ფული.

---

## ფული მოიწერება.

ქ. ტფილისში, ქართულის ჟურნალის «ცისკრის» რედაქციაში, კნიაზ ალექსანდრე ვახტანგის-ძის ჯამბაკურიან ორბელიანის სახლში.